

პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი სტრუქტურისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება¹

(2008 წლის ომის შემდეგ იძულებით ადგილნაცვალ პირთა მაგალითზე)

ლილი ხეჩუაშვილი, PhD

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე:

ნაშრომი შეეხება 2008 წლის ომის შემდგომ იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ამ გამოცდილების არ მქონე პირთა (45-45 მონაწილე თითო ჯგუფში) პერსონალურ ნარატივებში გადაკოდირებული მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და თვითანგარიშის კითხვარით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართებას. პოსტტრავმული ზრდის კონსტრუქტის ოპერაციონალიზაციისთვის გამოყენებულია ტედესკისა და კალკოუნის ტრანსფორმაციული მოდელი, ხოლო ცხოვრების ნარატივებში ზრდის აღსაწერად — მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მაკადამისისეული ცნება. გაანალიზებული ნარატივების მხოლოდ მესამედს აღმოაჩნდა ამგვარი სტრუქტურა. საკონტროლო ჯგუფის მონაწილეები უფრო ხშირად ყვებიან მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ამბებს, ვიდრე იძულებით ადგილნაცვალი პირები. გარდა ამისა, მათ მონათხრობებში მეტია ზრდის, სწავლისა და გაუმჯობესების თემები; თუმცა, თუ იძულებით ადგილნაცვალი პირები თავიანთ მოგონებებს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ალაგებენ, მაშინ მათ მიერ მოყვლილი ამბების ნახევარზე მეტი გაუმჯობესებისა და ადაპტაციის შესახებ არის. ასევე, კვლევის მონაწილეთა ორივე ჯგუფში გამოვლინდა ზომიერი კორელაცია, ერთი მხრივ, ცხოვრების ისტორიების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებასა და, მეორე მხრივ, პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული ზრდის ფაქტორებს შორის. მოთხრობილი გამოცდილების მაკომპენსირებელი სტრუქტურა სანდოდ წინასწარმეტყველებს ამ ფაქტორების მიხედვით მიღებულ ქულებს.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური ნარატივი, პოსტტრავმული ზრდა, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა.

¹ კვლევა განხორციელდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევარის კვლევით გრანტის ფარგლებში (CARTI under the International Higher Education Support Program of the Open Society Foundations. გრანტის გამცემი: ღია საზოგადოების ინსტიტიტუტის ფონდი, გრანტი N:IN2013-11481).

“კედელზე მიყრდნობილი ვხვდებოდი, რომ შეიძლება გული გამსკდომოდა. ფიზიკურად ასე ცუდად სტრესისგან არასოდეს ვყოფილვარ. მთლიანად მაკანკალებდა. ამ დროს მივხვდი, რას ნიშნავს ნერვიულობისგან ცუდად გახდომა. ამის მერე ძალიან შევიცვალე. მივხვდი, რომ თუ მინდა ცხოვრების გაგრძელება და ისე გაგრძელება, როგორც მე მინდა, აუცილებელია, რომ დამოუკიდებელი გავხდე და არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, არამედ ემოციურადაც განცალკევდე ოჯახისგან. მაგ მომენტიდან მივხვდი, რომ რაც არ გკლავს, გაძლიერებს და ასეც მოხდა ჩემს ცხოვრებაში”.

ეს ციტატა ახალგაზრდა მამაკაცს ეკუთვნის, რომელიც თავისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრესული გამოცდილების შესახებ ყვება. მასში ნათლად ჩანს მჭიდრო კავშირი ცხოვრების ნარატივისა და პოსტტრავმულ ზრდას შორის; კავშირი, რომელზეც ტედესკი და კალჰოუნი (2004) თავიანთ ტრანსფორმაციულ მოდელში საუბრობენ და რომელიც უფრო სრულად არის წარმოდგენილი ნარატიული იდენტობის მოდელში (Pals & McAdams, 2004).

ტრანსფორმაციული მოდელის (Tedeschi & Calhoun, 2004; Calhoun & Tedeschi, 2013) მიხედვით, პოსტტრავმული ზრდა არის როგორც ტრავმული/სტრესული გამოცდილების კოგნიტური გადამუშავების შედეგად საკუთარი თავისადმი, სხვებისადმი და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ისე — დროში განფენილი კოგნიტური პროცესი. ამ პროცესის აღძვრას მძლავრი ბიძგი ესაჭიროება, რომელსაც საკმარისად ინტენსიური ტრავმული/სტრესული მოვლენა იძლევა, რათა სერიოზულად შეარყიოს და ზოგჯერ დაანგრეოს კიდევ ფუნდამენტური სქემები, მიზნები და დაშვებები სამყაროს შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, საზრისსა და მიზანს სძენენ ადამიანის ცხოვრებას. ეს ფუნდამენტური დაშვებები და სქემები ნარატიული იდენტობის საფუძველსაც ქმნიან (McAdams, 1996; 2013). შესაბამისად, როდესაც საკმარისად სტრესული მოვლენა ამ ფუნდამენტური დაშვებებისა და სქემების გადასინჯვის აუცილებლობის წინაშე აყენებს ინდივიდს, ეს აუცილებლად აისახება მის ცხოვრების ისტორიაში ანუ ნარატიულ იდენტობაში (Pals & McAdams, 2004; Lilgendahl & McAdams, 2011). ამიტომ პოსტტრავმული ზრდის პროცესის გაგების ერთ-ერთ (თუ საუკეთესოს არა) გზას პერსონალური ნარატივების გაანალიზება წარმოადგენს (Pals, 2000; Pals & McAdams, 2004).

ვინაიდან პოსტტრავმული ზრდა (Tedeschi & Calhoun, 2004) არსებითად, ძველი სქემების ნაცვლად ახლის შექმნის პროცესია, ნარატიული მოდელის ავტორები თვლიან, რომ ნარატივის ანალიზის მეშვეობით ამ პროცესისთვის თვალის გადევნებას, სულ მცირე, ორი უპირატესობა აქვს, თვითანგარიშის კითხვართან შედარებით. პირველი, ვინაიდან ზრდა ახალი სქემების ფორმირების პროცესია, გაცილებით მეტის მომცემი იქნება პერსონალური ნარატივის კონტექსტში ანუ თავად ინდივიდის სუბიექტური გადმოსახედიდან ამ პროცესის ბუნებრივ განვითარებაზე დაკვირვება. წინააღმდეგ შემთხვევაში უცნობი დარჩება, რეალურად რამდენად ღირებულია ეს ცვლილებები მოცემული ინდივიდისთვის და რამდენად უკავშირდება მის იდენტობას. ასე მაგალითად, სხვა ადამიანმა შეიძლება დაახლოებით იგივე ქულა მიიღოს პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარზე, როგორც სტატიის დასაწყისში მოცემული ამონარიდის ავტორმა, თუმცა სტრესული მოვლენის ნარატივი აჩვენებდეს, რომ მისთვის გაცილებით პერიფერიულია ეს მოვლენა, ნაკლებად უკავშირებს

ერთმანეთს სტრესულ მოვლენასა და საკუთარ მე-ს (McLean, 2008; McLean & Fournier, 2008; Pasupathi & Mansour, 2006) და, შესაბამისად, ზრდის შედეგები ნაკლებად განვითარებული და ჩართულია მის იდენტობაში. მეორე, პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარი, რომელიც აღნიშნული მოდელის ავტორებს ეკუთვნით (იხ. ქვემოთ), ტრანსფორმაციის შედეგად მხოლოდ რამდენიმე სფეროში მიღწეულ შედეგებს ზომავს მაშინ, როდესაც რეალურად ზრდის გამოცდილება ადამიანს ისეთ სფეროში შეიძლება ჰქონდეს, რომელსაც არ მოიცავს კითხვარი, ანდა ის ამას მისთვის დამახასიათებელი უნიკალური გზებით ახერხებდეს, რაც, ასევე, კითხვარის ფარგლებს მიღმა დარჩება. ამრიგად, როგორც ნარატიული იდენტობის მოდელის ავტორები თვლიან (მაგალითისთვის იხ. Pals & McAdams, 2004), პოსტტრავმული ზრდის ნარატიული შეფასება შესაძლებელს ხდის დადებითი თვითტრანსფორმაციის პიროვნებისეული ხედვის შესწავლას, რაც ადამიანთა ცხოვრებაში შესაძლებელი ზრდის სხვადასხვა ფორმის დიაპაზონის შეზღუდვის გარეშე ხერხდება.

პოსტტრავმული ზრდის ნარატიული კვლევა პერსონალური ნარატივის კონკრეტული სახის სტრუქტურის შესწავლას მოიაზრებს. კერძოდ, საუბარია იმ კონკრეტულ სქემაზე, რომლითაც აგებენ ადამიანები პოსტტრავმული ზრდის პროცესისა და შედეგების ამსახველ მოგონებებს. როგორც მკვლევრები (King, Scollon, Ramsey, & Williams, 2000; Pals, 2000; Pals & McAdams, 2004) მიუთითებენ, ასეთ ნარატივებში მთხრობელი ამბის დასაწყისში ნათლად გამოკვეთს უარყოფით ემოციურ მოვლენას, როგორც საწყის წერტილსა და გამოწვევას, რომელსაც საკუთარი თავის ახლებურად ხედვის პოტენციურ წყაროდ აღიქვამს. შემდგომ თხრობას ტრანსფორმაციული და მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით² განაგრძობს და ამბავი აუცილებლად კარგად მთავრდება. ამასთან, კარგი, დადებითი დასასრული კიდევ ერთხელ ადასტურებს და უხსნის მსმენელს (და თავად თხრობელს), თუ როგორ შეიცვალა დადებითად მისი „მე“ (სელფი). ასე მაგალითად, სტატიის დასაწყისში მოცემული ამონარიდის ავტორი ცხადად აღწერს სიტუაციას, რომელშიც მან უაღრესად სტრესული გამოცდილება მიიღო, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ იმ ემოციურად დატვირთულმა სიტუაციამ კარგად დაანახა გამოსავალი, სამომავლო გზა და კურსი და იმასაც მიუთითებს, რომ ეს მძიმე სიტუაცია მან სათავისოდ, სასიკეთოდ მოატრიალა და გამოიყენა: ცუდი ამბავი კარგად დაასრულა — ტანჯვის შედეგად რაღაც შეიძინა და პიროვნულად გაიზარდა/გამდიერდა.

ვინაიდან ნარატივის ანალიზი (თვისებრივი მიდგომა) და თვითანგარიშის კითხვარი (რაოდენობრივი მიდგომა) პოსტტრავმული ზრდის პროცესისა და შედეგების გამოვლენისა და გაზომვის ორ ალტერნატიულ გზას წარმოადგენს, ლოგიკურია, რომ ამ ორი გზით მიღებულ შედეგებს შორის კავშირი არსებობდეს. ამასთან, ვინაიდან ნარატიული მოდელი უფრო მეტის დანახვის საშუალებას იძლევა (Pals & McAdams, 2004), ვიდრე თვითანგარიშის მეთოდი, მოსალოდნელია, რომ ორი სხვადასხვა

² Redemption, Redemption sequence. სტატიაში შემოთავაზებული თარგმანი „მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა“ პირობითი თარგმანია ამ ეტაპისთვის, ვიდრე უკეთესი ვარიანტი არ მოიძებნება. ამ ცნების შესახებ მეტი იხ. McAdams, 2013. (ქართულად: ხეჩუაშვილი, ბეჭდვაში).

მეთოდით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლები ზომიერად დადებითად (და არა — მჭიდროდ) კორელირებდნენ ერთმანეთთან.

გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ნარატივის მაკომპენსირებელი სტრუქტურა წინასწარმეტყველებდეს ტრანსფორმაციული მოდელის ფარგლებში შემუშავებული თვითანგარიშის კითხვარით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის ჯამურ ან/და მისი ერთ ან რამდენიმე ქვესკალის მაჩვენებელს, ვინაიდან თვითანგარიშის კითხვარის დებულებებზე გაცემული პასუხები, გარკვეულწილად, ისევ თვითრეფლექსიის შედეგად შეირჩევა და კვლევის მონაწილის მიერ ტრავმული/სტრესული მოვლენის კოგნიტური გადამუშავების, გააზრების და მის შესახებ პერსონალური ნარატივის აგების შედეგად და კონტექსტში ხდება.

ამასთან, ეს ვარაუდი მართებული უნდა იყოს განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპის სტრესული/ტრავმული გამოცდილება აქვს ინდივიდს. სხვა სიტყვებით, საზიარო სტრესული გამოცდილების მქონე (ამ კვლევის შემთხვევაში იძულებით ადგილმონაცვლეობის გამოცდილების მქონე ინდივიდთა) ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა არ უნდა ახდენდეს გავლენას მოსალოდნელ კავშირზე, ვინაიდან როგორც პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელის (Calhoun & Tedeschi, 213), ისე სტრესული მოვლენების ნარატიული გადამუშავების (Pals & McAdams, 2004) თეორიის მიხედვით, წარმატებული ზრდა პიროვნებაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებაა, რომელიც რამდენიმე ნაბიჯიგან შემდგარი კოგნიტური პროცესის შედეგად მიიღწევა და, ძირითადად, არ არის დამოკიდებული განცდილი ტრავმული მოვლენის ბუნებაზე³.

კვლევის მეთოდისა და შედეგების განხილვამდე, სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული კვლევაში გამოყენებული თეორიული ჩარჩოები, ძირითადი ცნებები და კონსტრუქტები, კერძოდ: პერსონალური ნარატივი, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა და ნარატივის მოტივაციური (აგენტობა, ურთიერთკავშირი და მასშტაბური საფიქრალეები) ასპექტები, პოსტტრავმული ზრდის ცნება ტრანსფორმაციული მოდელის მიხედვით.

პერსონალური ნარატივი

პერსონალური ნარატივებისა და ცხოვრებისეული ისტორიების კვლევების უმრავლესობაში ძირითად ცნებას ნარატიული იდენტობა წარმოადგენს. ეს არის კოგნიტური სტრუქტურა ანუ სკრიპტი (McAdams & Olson 2010; McAdams & Walden, 2010), რომელიც საკუთარი თავის შესახებ ინდივიდის ინტერნალიზებულ,

³ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგი კვლევებისა (მაგალითად, Tedeschi & Calhoun, 2004; Taku, et al., 2007) და მოდელის ავტორების მიხედვით, პოსტტრავმული ზრდის კონფიგურაცია (ფაქტორების მიხედვით მიღებული მაჩვენებლების დონეზე) იცვლება ზრდის წინსმწრები სტრესული მოვლენის თავისებურების მიხედვით. ასე მაგალითად, ზრდის განზომილებათა კომბინაცია განსხვავებულია ლტოლვილობის გამოცდილების (Powell, Rosner, Butollo, Tedeschi, & Calhoun, 2003), მკერდის სიმსივნის დიაგნოზის (Koutrouli, Anagnostopoulos, & Potamianos, 2012) და განქორწინების (Lamela, Igueiredo, Bastos, & Martins, 2013) შემთხვევაში, თუმცა კოგნიტური პროცესი, რომელსაც ადამიანები გადიან, მსგავსია (Jayawickreme & Blaikie, 2014).

განვითარებად და ინტეგრირებულ ცხოვრებისეულ ნარატივს ანუ მოთხრობას მოიაზრებს. ეს ინტერნალიზებული და განვითარებადი ნარატივი თავის თავში აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ინდივიდს პიროვნული უწყვეტობის განცდას უქმნის (Pasupathi, Mansour & Brubaker 2007). ეს განსაზღვრება ეგოს იდენტობის ერიკსონისეული (1963) დეფინიციიდან მომდინარეობს, თუმცა, ასევე, უკავშირდება პიროვნული იდენტობის ცნებას, რომელიც მე-ს არამარტო დროში ერთიანობის განცდას სძენს, არამედ — სხვადასხვა კონტექსტში მე-ს იგივეობრიობის შეგრძნებასაც უზრუნველყოფს (McLean, Syed, Yoder, & Greenhoot, 2014; Syed, 2010). ამრიგად, სუბიექტურად კონსტრუირებულ იდენტობას მე-ს დროსა და სივრცეში (სხვადასხვა სიტუაციაში) თანმიმდევრულობის, კოჰერენტულობის განცდის წარმოქმნა შეუძლია და ამას ის იმ ისტორიების, ამბების შექმნით/თხრობით ახერხებს, რომლებიც ამ უწყვეტობის, თანმიმდევრულობის ახსნასა და ილუსტრაციას უზრუნველყოფენ.

თეორეტიკოსთა და მკვლევართა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა თანხმდება, რომ ადამიანები ნარატიული იდენტობების აგებას მოზარდობისას და ადრეული მოზრდილობისას იწყებენ და ამ მოთხრობებზე მუშაობას მთელი მოზრდილი ცხოვრების განმავლობაში აგრძელებენ (McLean & Syed, 2015). ნარატივები, რომლებსაც ადამიანები საკუთარი ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ქმნიან, თანამედროვე მოზრდილებს რთულ სოციალურ ეკოლოგიაში მათი ადგილის პოვნაში ეხმარებათ. ამრიგად, სწორედ ნარატიული იდენტობის რეალიებში გვიჩვენებს პიროვნება საკუთარ ყველაზე მნიშვნელოვან და ჩახლართულ ურთიერთობებს კულტურასა და საზოგადოებასთან (McAdams, 2009). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ჩვენს მიერ შექმნილი ნარატივები, არსებითად, იმას შესახებ არის, როგორ ვიბრძვით, რომ მოვაწესრიგოთ ის, ვინ ვიყავით ჩვენი წარმოსახვით წარსულში, ვინ ვართ ახლა და ვინ შეიძლება ვიყოთ მომავალში ჩვენი გონებითა და სხეულით ჩვენი ოჯახის, თემის, სამსახურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური კლასისა და კულტურის სოციალურ კონტექსტში. მე (self) საზოგადოების პირობებთან შეგუებას ნარატიული იდენტობის მეშვეობით ახერხებს (McAdams & McLean, 2013; McLean & Syed, in press).

სტრუქტურა: მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა. ნარატიულ იდენტობას, რომელიც პერსონალური ნარატივის სახით აღიწერება, გააჩნია როგორც შინაარსი (რომელსაც თემატური ანალიზის მეშვეობით იკვლევვენ), ისე — სტრუქტურა (McAdams, 2009; ხეჩუაშვილი, ბეჭდვაში). სტრუქტურის თვალსაზრისით, ცხოვრებისეული ისტორიები ფართოდ ცვალებადობს ნარატივის სირთულის მიხედვით. უაღრესად კომპლექსური ნარატივები მრავალ განსხვავებულ იდეასა და ფაბულას მოიცავენ და ამ ელემენტებს შორის მრავალ განსხვავებულ კავშირს გამოხატავენ. ამის საპირისპიროდ, შედარებით მარტივი ისტორიები რამდენიმე ქარგას მოიცავენ და ელემენტებს შორის მხოლოდ რამდენიმე ურთიერთკავშირს ანვითარებენ. ვერ ვიტყვით, რომ კომპლექსური ისტორიები უკეთესი ან უარესია, ვიდრე შედარებით მარტივი ამბები. ისინი უბრალოდ განსხვავებულია.

წარმოდგენილ ნაშრომში იდენტიფიცირებული და გადაკოდირებულია ნარატივის სტრუქტურის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელსაც მაკადამსი (2013) მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას⁴ უწოდებს. ე. წ. მაკომპენსირებელი ნარატივი ანუ სკრიპტი ახლოს

⁴ Redemptive sequence.

დგას სილვან ტომკინსის (1981) ვალდებულების სკრიპტთან. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ისტორიის დალაგების ისეთ სტრუქტურას გულისხმობს, რომელშიც უარყოფით მოვლენას რაიმე სახის დადებითი შედეგი მოჰყვება, თუნდაც ეს დადებითი შედეგი გაცილებით ნაკლებად ინტენსიური იყოს, ვიდრე საწყისი ნეგატიური მოვლენა. ამასთან, ნარატივის ავტორი ექსპლიციტურად უნდა აღწერდეს მდგომარეობას, რომელიც მოიცავს დადებითი ემოციური ან კოგნიტური გამოსავლისკენ მოძრაობას, ან თავად ეს მოვლენა უნდა იყოს იმდენად დადებითი, რომ ადამიანთა უმრავლესობაში ასეთ შედეგს იძლეოდეს. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის თემა მთელ მსოფლიოში შეგვიძლია ვნახოთ მითებსა და ფოლკლორში. ის განსაკუთრებით მძლავრ იდეას წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან რელიგიებში (James, 1902/1958; Miller & C'deBaca, 1994, წყაროში McAdams, 2009). მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა გულისხმობს იმედს, რომ შიში, დანაკარგი, სევდა, დანაშაული და ა. შ. ისეთ შედეგებამდე მიგვიყვანს, რომელიც სიხარულს, აგზნებასა და სხვა დადებით ემოციურ მდგომარეობებს შეესაბამება, მაგალითად, პროტაგონისტი ქმარს გაშორდა, მაგრამ ორი მშვენიერი შვილი ჰყავს; ოჯახი დაენგრა, მაგრამ წარმატებული ექიმი გახდა (Khechuashvili, 2015a).

მოტივაციური ასპექტები. ბევრ ნარატივში პერსონაჟები ხშირად ცდილობენ გარკვეული ფორმის ძალაუფლების, სიყვარულის ან ორივეს მოპოვებას. უფრო ზოგადად, ნარატივის თემატური ხაზები ხშირად ასახავენ იმას, რასაც ბაკანი (1966) აგენტობას და ურთიერთკავშირს უწოდებს და ორ ფუნდამენტურ მოდალობად მიიჩნევს ყველა ცოცხალი ფორმისთვის. ამ ორ ცნებას განავრცობს და ნარატივის მოტივაციური ვექტორის ჭრილში განიხილავს მაკადამსი (1988), რომელსაც ეკუთვნის კიდევ ვალიდური და აპრობირებული კოდირების სისტემა ამ ორი მოტივისთვის.

აგენტობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, განავრცოს, მიიღოს, სრულყოს და დაიცვას საკუთარი თავი, გამოეყოს სხვებს და გაუმკლავდეს გარემოს, რომელშიც მისი მე ბინადრობს. პიროვნულ ნიშნებთან მიმართებით, აგენტობა ისეთი ცნებებით აღიწერება, როგორც არის დომინანტობა და ექსტრავერსია და, ასევე, აისახება მიღწევასა და ძალაუფლების მოტივაციაში.

ურთიერთკავშირი/ერთობა შეეხება ინდივიდის მცდელობას, გაერთიანდეს სხვა ინდივიდებთან, დაუკავშირდეს მათ სიყვარულის, ინტიმურობის, მეგობრობისა და ერთიანობის კავშირებით. ნიშნებთან მიმართებით, ურთიერთკავშირი აისახება ისეთი ცნებებით, როგორც არის თანხმობისადმი მზაობა და ზრუნვა და, ასევე, ვლინდება ინტიმურობისა და აფილაციის მოტივაციაში (McAdams, 1988, 2013).

რაც შეეხება მასშტაბურ საფიქრალებს, მათში მოიაზრება ღირებულებათა სისტემები, სხვებთან და საკუთარ თავთან მიმართება და, ასევე, ზოგადად, ინდივიდის ცხოვრების ფილოსოფია, რომელზე დაფიქრებაც და მეტ-ნაკლებად ცვლილებაც ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ახლავს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებულ ნარატივებს და, როგორც მაკადამსი (2013) თვლის, ასეთი ნარატივები განსაკუთრებით გაცილებით მძლავრია და პიროვნულად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ტიპის.

პოსტტრავმული ზრდა

კვლევაში გამოყენებულია პოსტტრავმული ზრდის ტრასფორმაციული მოდელი, რომელიც ტედესკისა და კალჰოუნს (2004) ეკუთვნით. ამ მოდელის მიხედვით, პოსტტრავმულ ზრდაში მოიაზრება ის დადებითი ცვლილებები, რომლებსაც ადამიანები სტრესული და ტრავმული მოვლენების შემდეგ განიცდიან (Powell, et. al.,

2003). მოდელის ავტორების (Tedeschi & Calhoun, 2004) მიხედვით, ტერმინი „პოსტტრავმული ზრდა“ ისეთ ცვლილებებზე მიუთითებს, რომლებსაც ინდივიდი ადაპტაციის უფრო მაღალ დონეზე გადაჰყავს, ვიდრე ტრავმულ გამოცდილებამდე იყო. შესაბამისად, ეს თვისებრივი ცვლილებაა ფუნქციონირებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრდა უშუალოდ ტრავმის შედეგს არ წარმოადგენს და ის ფაქტი, რომ პიროვნება მეტ-ნაკლებად იზრდება ტრავმული გამოცდილების შემდეგ, არ ნიშნავს, რომ ტრავმის თანმდევი უარყოფითი გამოცდილება ქრება. გარდა ამისა, ზრდის ფენომენი არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ თავად ტრავმა წყვეტს არსებობას, როგორც დისტრესის მომტანი მოვლენა. ტედესკისა და კალჰუნის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდა ფსიქოლოგიური გადარჩენის მცდელობის შედეგად მიიღწევა და ის უპრობლემოდ შეიძლება თანაარსებობდეს ტრავმული გამოცდილების რეზიდუალურ დისტრესთან (Jayawickreme & Blaikie, 2014).

ტედესკისა და კალჰუნის (2004) მიხედვით, პოსტტრავმული ზრდა არის არა მხოლოდ გარკვეული კოგნიტური პროცესების შედეგი, არამედ თავად პროცესი, რომელიც ტრავმული გამოცდილების შემდეგ დროში მიმდინარეობს. ავტორები უშვებენ, რომ პოსტტრავმული ზრდის პროცესის დასაწყებად ტრავმული მოვლენა საკმარისად ინტენსიური უნდა იყოს, რათა საფუძველი შეურყიოს და დაანგრეოს კიდევ ფუნდამენტური სქემები, მიზნები და დაშვებები, რომლებიც ცხოვრებას საზრისსა და მიზანს სძენენ.

ავტორები, ასევე, მიუთითებენ, რომ პოსტტრავმული ზრდა სამ სხვადასხვა სფეროში შეიძლება შეინიშნებოდეს, ესენია: (ა) თვით-აღქმა ანუ ადამიანს ეცვლება დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, (ბ) სხვებისადმი დამოკიდებულება ანუ ადამიანი გადააფასებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსა და მათთან ურთიერთობას და (გ) ზოგადი ცხოვრებისეული ფილოსოფია ანუ ადამიანი ხელახლა გაიაზრებს საკუთარ სულიერ, რელიგიურ, ღირებულებით ორიენტაციებს. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ეს სამი მიმართულება მათ მიერვე შექმნილ 21 დებულებიან კითხვარში, რომელიც სწორედ ამ ცვლილებების გასაზომად არის მოწოდებული, ხუთი ფაქტორით აღიწერება (Tedeschi & Calhoun, 1995). ეს ფაქტორებია: სხვებთან ურთიერთობა ($\alpha=0.85$, ხსნის დისპერსიის 17%-ს), ახალი შესაძლებლობები ($\alpha=0.84$, ხსნის დისპერსიის 16%-ს), პიროვნული სიძლიერე ($\alpha=0.72$, ხსნის დისპერსიის 11%-ს), სპირიტუალური ცვლილება ($\alpha=0.85$, ხსნის დისპერსიის 9%-ს) და ცხოვრების დაფასება ($\alpha=0.67$, ხსნის დისპერსიის 9%-ს) (Tedeschi and Calhoun, 1996).

კვლევის მიზანი და ჰიპოთეზები

კვლევა მიზნად ისახავს ნარატივის სტრუქტურის ანალიზისა და თვითანგარიშის კითხვარის მეშვეობით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების ურთიერთმიმართების დადგენას.

I ჰიპოთეზა: პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსი განსხვავებულია იძულებით ადგილნაცვალ და ამ გამოცდილების არმქონე პირთა ნარატივებში.

II ჰიპოთეზა: პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა და თვითანგარიშის კითხვარით გაზომილი პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლები დადებითად კორელირებენ ერთმანეთთან.

III ჰიპოთეზა: პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით შესაძლებელია პოსტტრავმული ზრდის ერთი ან რამდენიმე ასპექტის წინასწარმეტყველება.

მეთოდი

კვლევა შესრულებულია შერეული დიზაინით, კერძოდ, ტრიანგულაციის მეთოდით (Syed, in prep.), როდესაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები დროის ერთ მომენტში ერთსა და იმავე შერჩევაზე იკრიბება და შემდეგ ერთობლივად ხდება მათი გაანალიზება და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. აქედან გამომდინარე, შედეგების აღწერისა და ინტერპრეტაციის ნაწილიც შერეულ ხასიათს ატარებს და არ მიჰყვება ტრადიციულ პოზიტივისტურ ჩარჩოში შესრულებული კვლევის ანგარიშის ფორმას და არც წმინდად ინტერპრეტაციული (თვისებრივი) ანგარიშის ფორმა აქვს: მასში წარმოდგენილია როგორც თვისებრივი (ნარატივი და ამონარიდები ინტერვიუებიდან), ისე რაოდენობრივი (სტატისტიკური) მონაცემები

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატიაში გაანალიზებული მონაცემები აღებულია უფრო ფართომასშტაბიანი კვლევითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული რამდენიმე ეტაპიანი, შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევის მონაცემთა ერთობლიობიდან. შესაბამისად, ქვემოთ აღწერილი შერჩევისა და ინსტრუმენტების გარდა, კვლევაში სხვა მონაწილეებიც იყვნენ ჩართულნი და სხვა მეთოდებიც იქნა გამოყენებული, თუმცა აქ მხოლოდ კვლევის ამ ნაწილისთვის რელევანტურ შერჩევასა და ინსტრუმენტებზე შევჩერდებით.

მონაწილეები

კვლევაში გენერალური პოპულაციიდან შემთხვევითი ალბათური და ხელმისაწვდომი შერჩევის პროცედურებით შერჩეული 100 მოხალისე მონაწილეობდა (50 იძულებით ადგილნაცვალი და 50 სხვა მოქალაქე, საშუალო ასაკი = 49(15.9) წელი, დიაპაზონი 25 – 84 წელი), რომელთაგან 2/3 ქალი იყო. კვლევის მონაწილეთა ნახევარს ჰქონდა უმაღლესი (ხუთწლიანი საბჭოთა დიპლომი, ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა), ხოლო თითქმის მეხუთედს — სრული საშუალო ან პროფესიული განათლება.

ყველა მონაწილე ეთნიკური ქართველი იყო. მათი უმრავლესობა (85.6%) თავს მართლმადიდებლად თვლიდა. ჯგუფის დანარჩენი წევრები არც ერთ აღმსარებლობას მიაკუთვნებდნენ საკუთარ თავს. მხოლოდ ერთმა მონაწილემ თქვა, რომ იელოვას მოწმე იყო. მართლმადიდებელ მონაწილეთა მხოლოდ 10%-მა აღნიშნა, რომ რეგულარულად იყო ჩართული რელიგიურ რიტუალებში, დანარჩენი მონაწილეები კი ზოგჯერ (34%) ან იშვიათად (33%) ასრულებდა მათ.

მონაწილეთა ნახევარმა აღნიშნა, რომ საშუალო ან დაბალი შემოსავალი ჰქონდა, ხოლო 1/3-მა საკუთარი თავი ღარიბის კატეგორიაში მოათავსა (თვეში 300 ლარზე ნაკლები შემოსავალი). მონაწილეთა მხოლოდ 10%-ს ჰქონდა შედარებით მაღალი შემოსავალი.

შერჩევის თითქმის მეხუთედი უმუშევარი ან პენსიონერი იყო, მეოთხედი — დიასახლისი. დასაქმებულთა მეხუთედი კერძო სექტორში მუშაობდა და ამდენივე — კერძო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

მონაწილეთა ნახევარზე მეტი (60.%) ქალაქში ცხოვრობდა, დანარჩენი კი — სოფლად, რომელთა დიდ ნაწილს იძულებით ადგილნაცვალი პიროვნებები იყვნენ,

რომლებიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ახალ დასახლებებში ბინადრობდნენ. ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩენილ ბუფერულ ზონებში ცხოვრობდა (მეტი დეტალებისთვის იხ. Khechuashvili, 2014b).

მოცემულ კვლევაში იძულებით ადგილნაცვალ პირთა ერთ-ერთ საკვლევ ჯგუფად შერჩევას თავისი საფუძველი ჰქონდა. იძულებით ადგილნაცვალი პირები, როგორც საზიარო სტრესული გამოცდილების მქონე ჯგუფი, იმის საჩვენებლად შეირჩა, რომ პოსტტრავმული ზრდის ამსახველ ნარატივსა და თვითანგარიშის კითხვარით გაზომილ პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებს შორის მოსალოდნელი კავშირი მომხდარის კოგნიტური გადამშავების (ნუ თავად ზრდის/თხრობის პროცესის) თავისებურებასთან უფრო კავშირში, ვიდრე თავად გადასამშავებელი გამოცდილების ბუნებასთან.

რაც შეეხება ბოლო ორი წლის განმავლობაში გადატანილ ტრავმულ გამოცდილებას, მონაწილეთა თითქმის მესამედმა (29.2%, 90) დაასახელა ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, 24%-მა – საკუთარ თავთან დაკავშირებული მოვლენები (საცხოვრებელი ადგილის ან ფინანსური მდგომარეობის შეცვლა), 18.5%-მა – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოცდილება (ტრავმა, ავადმყოფობა, ძილის დარღვევები), 15.9%-მა – ოჯახთან დაკავშირებული მოვლენები (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ოჯახის სტრუქტურის ცვლილება) და 12.3%-მა – ურთიერთობები (მეუღლესთან/პარტნიორთან დაშორება).

ამ სტატიაში წარმოდგენილია და გაანალიზებულია მხოლოდ 90 მონაწილის შედეგები, ვინაიდან 10 ადამიანი გამოირიცხა შერჩევიდან შემდეგი მიზეზების გამო: (ა) ჰქონდათ აფხაზეთიდან დევნილობის გამოცდილება (4 მონაწილე), (ბ) არასრული ინტერვიუები (3 მონაწილე), (გ) არ ჰქონდათ შევსებული თვითადმინისტრირებადი კითხვარები (3 მონაწილე).

ინსტრუმენტები

*პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსია (PTGI-Geo)*⁵ ორიგინალურის მსგავსად, 21 დებულებისგან შედგება და მისი ორიგინალური ხუთფაქტორიანის სტრუქტურის ნაცვლად, ოთხფაქტორიანი ინსტრუმენტია, რომელშიც უცვლელად არის შენარჩუნებული სხვებთან ურთიერთობის („სხვებთან მეტ სიახლოვეს ვგრძნობ“), პიროვნული სიძლიერისა („აღმოვაჩინე, რომ იმაზე ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა“) და ახალი შესაძლებლობების („ცხოვრებაში უკეთესი საქმეების კეთება შემიძლია“) სკალები, ხოლო სპირიტუალური ცვლილებისა (IV) და ცხოვრების დაფასების (V) სკალები გაერთიანდა და ახალი IV სკალა („ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე“, „უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს“) წარმოქმნა. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლების მიხედვით, კითხვარის ქართული ვერსია უახლოვდება ორიგინალს, კერძოდ, 21 დებულების ჯამური კოეფიციენტი $\alpha = 0.92$ -ია, ხოლო ცალკეული სკალებისთვის კრონბახის ალფას (Cronbach, 1951) მნიშვნელობა 0.74-დან 0.86-ის დიაპაზონში ცვალებადობს (ხეჩუაშვილი, 2015; Khechuashvili, 2016).

ეს არის თვითანგარიშის კითხვარი, რომელშიც კვლევის მონაწილეებს სთხოვენ, დაასახელონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სტრესული გამოცდილება მათ ცხოვრებაში და მასთან მიმართებაში შეაფასონ თითოეულ დებულებაში აღწერილი

⁵ თარგმანისა და ენობრივი გამართვის პროცესის დეტალური აღწერისთვის იხ. Khechuashvili, 2014a და Khechuashvili, 2016, ან დაუკავშირდით სტატიის ავტორს.

ცვლილების ინტენსივობა ლიკერტის ფორმატის ექვსქულიან სკალაზე, რომელზეც „0“ აღნიშნავს პასუხს „საერთოდ არ მომხდარა ეს ცვლილება“ და „5“ მიუთითებს პასუხზე „ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა“ (Jayawickreme & Blackie, 2014). თითოეული სკალის მიხედვით და პოსტტრავმული ზრდის ჯამური მაჩვენებელი მიღებული პასუხების დაჯამებით მიიღება. ამ ინსტრუმენტის თავისებურება ის არის, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით ცვლილებას ზომავს, მაგალითად, თუ მონაწილესთვის გადატანილი ტრავმული/სტრესული მოვლენის შემდეგ ცხოვრება გაუფასურდა ან ნაკლებად ღირებული გახდა, დებულებაზე „ყოველი დღე უფრო ღირებულია“ პასუხის გაცემისას ამ ცვლილებას ვერ დააფიქსირებს, რადგან შეთავაზებული პასუხების ვარიანტები მხოლოდ დადებითი ცვლილების ჩვენებას ითვალისწინებს. ამიტომ მას მოუწევს აღნიშნოს 0 ანუ „არავითარი ცვლილება არ მომხდარა“, რაც ერთგვარ უხერხულობას და უკმაყოფილებას იწვევს კვლევის მონაწილეებში (Shakespeare-Finch, et. al., 2013).

ცხოვრებისეული სტრესის სკალა გამოყენებულ იქნა ბოლო ორი წლის მანძილზე გადატანილი სტრესული/ტრავმული მოვლენის არსებობისა და შინაარსის განსასაზღვრად (Khechushvili, 2014a; ხეჩუაშვილი, 2015). ამ ჩამონათვალში შედის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მოვლენები, რომლებიც აღებულია ორიგინალური 43-დებულებიანი ჩამონათვალიდან (Holmes & Rahe, 1967). ქართული ვერსია 23 მოვლენის ჩამონათვალია (კრონბახის ალფა = 0.76).

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ მაკადამსის მიხედვით (McAdams, 1993; ხეჩუაშვილი, 2016, ბეჭდვაში) ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუა წინასწარ გაწერილი სტანდარტული ღია კითხვებით, რომელშიც მონაწილეს ჯერ სთხოვენ, რომ თავის ცხოვრებაზე, როგორც წიგნზე, ისე დაფიქრდეს, რომელიც რამდენიმე თავისგან შედგება; გამოადიფერენციროს თავები, დაასათაუროს და მოკლედ აღწეროს მათი შინაარსი. შემდეგ მონაწილე აღწერს რვა ძირითად სცენას ანუ ეპიზოდს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის ცხოვრებაში ან თვითგანმსაზღვრელ მოვლენებს შეიცავს. აქ შედის მაღალი (პიკური), დაბალი (მძიმე) და გადამწყვეტი მომენტები. თითოეული ეპიზოდი რესპონდენტმა დეტალურად უნდა აღწეროს: ზუსტად რა მოხდა, ვინ იყო სიტუაციაში ჩართული, რას ფიქრობდა და გრძნობდა ის ამ მოვლენის განვითარებისას და რას უნდა ნიშნავდეს ეს მოვლენა მისი ერთიანი ცხოვრებისეული ისტორიის კონტექსტში. შემდეგ მონაწილეს სთხოვენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოწვევის შესახებ მოყვეს, აღწეროს ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები თავის ისტორიაში და ამბის მომავალი თავებიც; ასევე, ახსნას თავისი ფუნდამენტური რელიგიური, ეთიკური და პოლიტიკური ღირებულებები და მათი განვითარების გზები. ინტერვიუს დასასრულს მონაწილეს სთხოვენ, გადახედოს თავის მონათხრობს და გამოყოს ცენტრალური თემა ან შეტყობინება (Crossley, 2011; McAdams, 2006). ასეთი ინტერვიუ დაახლოებით ორ საათს გრძელდება. როგორც წესი, ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი კეთდება და შემდგომში იწერება ტრანსკრიპტი (ხეჩუაშვილი, 2016, მზადების პროცესში).

პროცედურა

ინფორმირებული თანხმობა. კვლევის მონაწილეებთან ცხოვრების ისტორიის ინტერვიუების ჩაწერა და კითხვარების შევსება მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის ფორმის წაკითხვისა და ხელმოწერის შემდეგ ეძლეოდათ. კვლევის ასისტენტები

პასუხობდნენ ყველა კითხვას კვლევის პროცედურების, კვლევიდან გამოთიშვის, მონაცემთა საკუთრების, ანონიმურობა/კონფიდენციალობის, გამოქვეყნების და ა. შ. საკითხების შესახებ. ამასთან, თითოეულ მონაწილეს დეტალურად უხსნიდნენ, თუ რა მიზნით და როგორ მოხდებოდა ინტერვიუს ჩაწერა, ტრანსკრიპტის გაკეთება და მონაცემების შემდგომი დამუშავება ისე, რომ მათი კონფიდენციალობა და ანონიმურობა დაცული ყოფილიყო.

საველე სამუშაოს მიმდინარეობა. საველე სამუშაო თითოეულ მონაწილესთან ორი ნაწილისგან შედგებოდა. ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერისა და კვლევაში მონაწილეობაზე სრული თანხმობის განცხადების შემდეგ მონაწილეს ინდივიდუალურად ეძლეოდა თვითანგარიშის კითხვარებისა და დემოგრაფიული მონაცემების ბლოკი, რომელსაც ის თავად ავსებდა.

რაოდენობრივი ნაწილის დასრულების შემდეგ კვლევის მონაწილეს ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს პირველი ზოგადი ინსტრუქცია მიეწოდებოდა, რომელსაც შემდგომ უფრო კონკრეტული კითხვები მოჰყვებოდა.

ეს ინტერვიუ თქვენი ცხოვრების ისტორიას შეეხება. როგორც სოციალურ მეცნიერს, თქვენი ცხოვრების ისტორია მაინტერესებს, რომელშიც აღწერილი იქნება თქვენი წარსული ისე, როგორც გახსოვთ და მომავალი ისე, როგორც წარმოგიდგენიათ. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ მოყვებით, რაც ოდესმე გადაგხდენიათ თავს. ამიტომ გთხოვთ, რომ მხოლოდ რამდენიმე ძირითად მომენტზე — რამდენიმე მნიშვნელოვან სიტუაციაზე, ადამიანსა და იდეაზე — დაფიქრდეთ. არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე. თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ მომიყვეთ წარსულში მომხდარი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამბისა და იმის შესახებ, თუ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრების განვითარება მომავალში. მე ისე დაგისვამთ კითხვებს, რომ დაახლოებით ორ საათში ან უფრო ნაკლებ დროში დავასრულებთ საუბარს.

აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ ამ ინტერვიუს ჩაწერის მიზანი არ არის თქვენთვის რაიმე სახის დიაგნოზის დასმა ან ღრმა კლინიკური ანალიზის განხორციელება. ეს არც „თერაპიული სეანსია“. ინტერვიუ მხოლოდ კვლევის მიზნით იწერება და მისი ძირითადი მიზანი უბრალოდ თქვენი ისტორიის მოსმენაა. მე და ჩემი კოლეგები, სოციალური მეცნიერები, ვაგროვებთ ადამიანების ცხოვრების ისტორიებს, რათა გავიგოთ, რამდენად ერთმანეთისგან განსხვავებულად ცხოვრობენ ადამიანები ჩვენს საზოგადოებაში და რამდენად განსხვავებული გზებით ახერხებენ საკუთარ თავში გარკვევას. ყველაფერი, რასაც იტყვით, ნებაყოფლობითი, ანონიმური და კონფიდენციალურია.

ინტერვიუს შემდეგ ნაწილებში უფრო კონკრეტული კითხვები იყო წარმოდგენილი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების, გამოწვევების, ღირებულებების, იდეოლოგიისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს ინსტრუქციებისა და კითხვების სრული ნაკრები ინგლისური ენიდან ითარგმნა და შემოწმდა კვლევის ძირითადი ნაწილის დაწყებამდე.

ადგილი და ხანგრძლივობა. საველე სამუშაოები 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში ორ ეტაპად განხორციელდა: (1) მკვლევართა ჯგუფის (სტატისის ავტორისა და კვლევის ოთხი ასისტენტის შემადგენლობით) ინტენსიურ საველე გასვლები ორი კვირის განმავლობაში იძულებით ადგილნაცვალ პირთა ახალ დასახლებებში (წეროვანი, კოდა, ხურვალეთი და ა. შ., სულ 10 დასახლებული პუნქტი). ამ ეტაპზე ჩაიწერა 50 ინტერვიუ კვლევის მონაწილეთა საცხოვრებელ სახლებში; (2) დანარჩენი 50 რესპონდენტთან

ინტერვიუები მათთვის მოსახერხებელ ადგილას (ძირითადად, სახლებსა და კაფეებში) ჩაიწერა.

თითოეულ მონაწილესთან შეხვედრას საშუალოდ 2-2.5 საათი დასჭირდა, შესავლის, ინფორმირებული თანხმობის გაცნობისა და ხელმოწერის, დემოგრაფიული მონაცემების შეგროვების, თვითანგარიშის კითხვარების შევსებისა და თავადინტერვიუს ჩათვლით; თუმცა, ზოგიერთი ინტერვიუ მხოლოდ 25 წუთს გაგრძელდა, ზოგმა კი თითქმის სამი საათი გასტანა. ინტერვიუს ხანგრძლივობის ასეთი ცვალებადობა დამოკიდებული იყო კვლევის მონაწილეთა ზოგად ვერბალურ უნარებზე, თვითრეფლექსიის შესაძლებლობასა და სურვილზე და, ასევე, საკუთარი გამოცდილების ნარატივის სახით მოთხრობის შესძლებლობაზე.

გაკეთდა ყველა ინტერვიუს აუდიოჩანაწერი და შემდეგ დაიწერა სიტყვა-სიტყვითი (Crossley, 2011) ტრანსკრიპტები.

ნარატივების კოდირება

შემუშავდა ნარატივებში მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის (McAdams, 2008) გადასაკოდირებელი გზამკვლევის ქართული მოდიფიცირებული ვერსია, რომელშიც დეტალურად არის ახსნილი და შესატყვისი კოდების თანხლებით წარმოდგენილი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ცნება და ანალიზის ერთეული; პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები და შინაარსობრივი მხარე. ასევე, მოცემულია თითოეული კატეგორიის საილუსტრაციო მაგალითი და კოდების მონაცემთა ბაზაში შეტანის წესები.⁶ კვლევის ერთ-ერთმა ასისტენტმა, რომელმაც არაფერი იცოდა კვლევის ჰიპოთეზის, მონაწილეთა ასაკისა და სხვა დემოგრაფიული მონაცემების შესახებ, გადააკოდირა ყველა ნარატივის. ამასთან, კოდირების სანდოობის შესამოწმებლად, მეორე ასისტენტმა, რომელიც, ასევე, არ იცნობდა აღნიშნულ დეტალებს, გადააკოდირა ნარატივების 75% (89%-იანი თანხმობა).

გადაკოდირებული მოგონებები: ანალიზის ერთეულს წარმოადგენდა კონკრეტული მოვლენა ან ეპიზოდი ცხოვრების ისტორიაში, რომელიც კონკრეტულ დროსა და ადგილას ხდება და კონკრეტულ მოქმედებასა და მოქმედ პირებს მოიცავს. თითოეული ინტერვიუდან მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის გადასაკოდირებლად შეირჩა ექვსი მოგონება (სულ გადაკოდირდა $90 \times 6 = 540$ მოგონება). ესენია: პიკური გამოცდილება ანუ საუკეთესო მოგონება, ყველაზე ცუდი მოგონება, გარდამტეხი/გადამწყვეტი მოვლენა, ბავშვობის დადებითი მოგონება, ბავშვობის უარყოფითი მოგონება და მკაფიო მოგონება მოზრდილი ცხოვრებიდან.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა. ნარატივი მიიჩნეოდა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონედ და ენიჭებოდა კოდი „1“, თუ მასში ექსპლიციტურად იყო წარმოდგენილი უარყოფითი მდგომარეობიდან დადებითზე გადასვლა ორიდან ერთ-ერთი ფორმით (33.1%, ჯამური კოენის კაპა = .72): (ა) რესპონდენტის აზრით, უარყოფითი მოვლენა, სცენა, ეპიზოდი იწვევდა დადებით მოვლენას, სცენას, ეპიზოდს („მშობიარობა თითქმის 24 საათს გაგრძელდა, ძალიან დავიტანჯე, სამაგიეროდ, ისეთი სიხარული გაჩნდა, რომ მის პირველივე ყვირილზე სულში სითბო ჩამედვარა და ყველა ტკივილი დამავიწყა“) ან (ბ) უარყოფითი მოვლენა უშუალოდ დროში უსწრებდა

⁶ საჭიროების შემთხვევაში გზამკვლევთან დაკავშირებით მიმართეთ სტატის ავტორს.

დადებით მოვლენას („ფეხი მოვიტეხე და ტკვილისგან გონება დაგვარგე. შემდეგ მახსოვს, რომ მთელი ოჯახი თავს დამტრიალებდა და ყველანი სიყვარულით სავსე თვალებით მიყურებდნენ“). ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ნარატივს სტრუქტურის მიხედვით მიენიჭა კოდი „0“. მაკომპენსირებელ თანმიმდევრობად არ ჩაითვალა მოვლენების ისეთი დალაგება, როდესაც, მაგალითად, მთხრობელი ჯერ ყვება 30 წლის ასაკში გადატანილ მძიმე გამოცდილებას და შემდეგ ბავშვობის ნათელ მოგონებას მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ნარატივში უარყოფითი მოვლენა წინ უსწრებს დადებითს, რეალურად ერთი მეორეს შემდეგ დიდი დროის გასვლის შემდეგ მოხდა. ამიტომ ეს ვერ იქნება მაკომპენსირებელი.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები — მოტივაციური ასპექტები. თუ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ბაზისური სტრუქტურის (უარყოფითი → დადებითი) მიხედვით ნარატივს ენიჭებოდა კოდი „1“, კონკრეტდებოდა, წარმოდგენილი იყო თუ არა მონათხრობში მისი რომელიმე ქვეკატეგორია, კერძოდ გამოკვეთილი გაუმჯობესება მოტივაციური ასპექტების — აგენტობის, ურთიერთკავშირის და მასშტაბური საფიქრალების მიხედვით. ამისათვის საჭირო იყო, რომ მთხრობელს ექსპლიციტურად, ნათლად ჰქონოდა ნათქვამი, რომ გაუმჯობესებული მოტივაციური ასპექტი სწორედ მოვლენათა ასეთი მიმდევრობის შედეგს წარმოადგენდა.

კოდები შემუშავდა სამივე ქვეკატეგორიისთვის (McAdams, 2013) და თითოეული მათგანის არსებობის შემთხვევაში ეპიზოდს ენიჭებოდა კოდი „1“. უფრო კონკრეტულად: (1) გაუმჯობესებული აგენტობა (12%, კოენის კაპა = .85), როდესაც ეპიზოდში უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანსფორმაციის შედეგად უმჯობესდება პროტაგონისტის პირადი ძალაუფლება ან აგენტობა; საკუთარ თავში (მეტად) დარწმუნებული ხდება; პირად გადაწყვეტილებამდე, გამოსავლამდე მიდის; პიროვნული იდენტობის შესახებ ინსაიტს აღწევს; (2) გაუმჯობესებული ურთიერთკავშირი (5.5%, კოენის კაპა = .78), როდესაც ეპიზოდში უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანსფორმაციის შედეგად უმჯობესდება პროტაგონისტის პირადი სასიყვარულო ურთიერთობები, მეგობრობა, ოჯახური კავშირები და ა. შ. მაგალითად, ეპიზოდი იღებს „1“ ქულას, რომელშიც აღწერილია, რომ ახალგაზრდა მამაკაცი წამალდამოკიდებული მდგომარეობიდან (უარყოფითი მოვლენა) გამოჯანმრთელდა (დადებითი მოვლენა). აქ „კარგი“ შედეგია გამოჯანმრთელება. თუ ამ კარგ შედეგთან ერთად, ამ ადამიანს მეგობრებიც დაუბრუნდნენ ან შეყვარებული გაუჩნდა, მაშინ ეპიზოდი დამატებით ქულას იღებს „გაუმჯობესებული ურთიერთკავშირის“ ქვეკატეგორიის მიხედვით; (3) მასშტაბური საფიქრალები (4%, კოენის კაპა = .73), როდესაც უარყოფითიდან დადებითისკენ ტრანსფორმაცია მოიცავს ან მოიაზრებს ფუნდამენტური ეგზისტენციალური საკითხების ან მასშტაბური საფიქრალების მნიშვნელოვან ჩართულობას ან მათზე სერიოზულად დაფიქრებას, (ხელახალ) გააზრებას. აღწერილი მოვლენა პროტაგონისტს სიკვდილის, ღმერთის ან ცხოვრების რელიგიური/ სპირიტუალური განზომილებების პირისპირ აყენებს („მშობლების გარდაცვალების შემდეგ დავფიქრდი ცხოვრებაზე, პასუხისმგებლობებზე, რომელიც დამეკისრა და მივხვდი, რომ ახლა ჩემი საკეთებელი იყო ბევრი რამ, რაც მანამდე მშობლებს ებარათ“).

ამრიგად, თითოეული ეპიზოდისთვის პირველადი შეფასებისა და ამ სამი ქვეკატეგორიის ქულების შეკრებით მიიღება მოცემული ეპიზოდის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ჯამური ინდექსი, რომლის მნიშვნელობაც ვარირებს 0-დან 4-მდე.

ნარატივების შინაარსობრივი მხარე. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის გარდა 540 შერჩეულ ნარატივში გადაკოდირდა მათი შინაარსობრივი მხარე (კოენის კაპა = .73). თითოეული ნარატივი შეფასდა იმის მიხედვით, წარმოდგენილი იყო თუ არა მასში ჩამოთვლილთაგან რომელიმე შინაარსობრივი ასპექტი. ამისთვის გამოყენებულ იქნა მაკადამსის (2013) მოდელიდან აღებული შინაარსობრივი განზომილებები: (1) მსხვერპლშეწირვა, მსხვერპლის გაღება („მშობიარობის ტკივილის გავლით მშვენიერი, ჯანმრთელი პატარა მოველინა ქვეყანას“), (2) გამოჯანმრთელება, გამოკეთება („ინსულტი დაემართა, მაგრამ ნელ-ნელა სრულად დაუბრუნდა ძველებულ მდგომარეობას“), (3) ზრდა-განვითარება („ქიმის რამდენიმე კურსი გავიარე და საათობით წვეთოვანით ჯდომისას მივხვდი, რომ თურმე სულ სხვა რამ ყოფილა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი“), (4) სწავლა („ყოველთვის გვიჭირდა ოჯახში და ამან ხელმომჭირნეობა და შრომით მოპოვებული ფულის ფასი მასწავლა“), (5) გაუმჯობესება, აღმავალი მოძრაობა („ათ წელზე მეტი უშედეგოდ ვცდილობდი შვილის გაჩენას და შემდეგ, როცა უკვე აღარ ვფიქრობდი ამაზე, აღმოვაჩინე, რომ ორსულად ვიყავი“), (6) გათავისუფლება, ემანსიპაცია („ოჯახი დამენგრა, მაგრამ ამით იმდენი თავისუფლება მოვიპოვე, რომ კარიერაში მივაღწიე წარმატებას“).

ნარატივების შინაარსიდან გამომდინარე, ამ ჩამონათვალს დაემატა კიდევ ერთი კატეგორია „შეგუება, ადაპტაცია“, რომელიც მხოლოდ იძულებით ადგილნაცვალ პირთა ისტორიებში იყო წარმოდგენილი („მეტი რა გზა მქონდა, შევეგუე. ავეწყვე აქაურ ცხოვრებაზე“).

შედეგები და ინტერპრეტაცია

წინამდებარე კვლევის შედეგები ორ ნაწილად არის წარმოდგენილი. თავდაპირველად ცალ-ცალკე ბლოკად არის მოცემული აღწერითი სტატისტიკა პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის კოდირებითა და პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარით მიღებული მონაცემებისთვის. შემდეგ ნაჩვენებია და გაანალიზებულია ამ ორ ცვლადს შორის მიმართება, რასაც თან ახლავს მიღებული შედეგების მთლიანობითი ინტერპრეტაცია.

აღწერითი სტატისტიკა

პერსონალური ნარატივების სტრუქტურა: მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა

ზოგადი სურათი. გადაკოდირებული 540 ნარატივიდან, რომელშიც ერთიანდებოდა ექვსი ტიპის მოგონება, მხოლოდ მესამედი აღმოჩნდა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული. ამასთან, კვლევის მონაწილეები ყველაზე ხშირად ამგვარი თანმიმდევრობით საკუთარ უარყოფით ან გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გამოცდილებას ყვებოდნენ. ასევე, მოთხრობილი ამბების შინაარსის მიხედვით წინასწარ შემუშავებული კოდებით კლასიფიცირებამ აჩვენა, რომ ნარატივების მხოლოდ მეოთხედში იყო წარმოდგენილი ისეთი თემები, როგორცაა მსხვერპლშეწირვა, გამოჯანმრთელება, ზრდა, სწავლა, გაუმჯობესება და გათავისუფლება (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1. პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის და შინაარსობრივი მხარის მიხედვით კოდირების სიხშირეები (N=90).

ცვლადი	% (სიხშირე)
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა (540 ნარატივში)	
არის	33% (178)
არ არის	67% (362)
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა მოგონების ტიპის მიხედვით (178 ნარატივში)	
პიკური გამოცდილება	15% (28)
ყველაზე ცუდი მოგონება	23% (41)
გარდამტეხი მოვლენა	27% (48)
ბავშვობის დადებითი გამოცდილება	7% (13)
ბავშვობის უარყოფითი გამოცდილება	16% (28)
მკაფიო მოგონება მოზრდილობიდან	12% (22)
პერსონალური ნარატივის შინაარსობრივი მხარე (540 ნარატივში)	
სხვა/არც ერთი	75% (405)
მსხვერპლშეწირვა	7% (10)
გამოჯანმრთელება	7% (10)
ზრდა	22% (29)
სწავლა	19% (25)
გაუმჯობესება	40% (54)
გათავისუფლება	5% (7)

შენიშვნა: ცხრილში მხოლოდ სტატისტიკურად სანდოდ განსხვავებული განაწილებებია წარმოდგენილი, $p < .01$.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები. მოგონების ტიპის მიხედვით გაუმჯობესებული აგენტობის, ურთიერთკავშირისა და მასშტაბური საფიქრალეების განაწილება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო.

პოსტტრავმული ზრდა

პოსტტრავმული ზრდის თვითანგარიშის კითხვარით მიღებული მაჩვენებლები მთლიანი შერჩევითვის ცხრილში N2.

ცხრილი N2. პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლები სკალების მიხედვით (N=90)

სკალა	M (SD)	შესაძლო დიაპაზონი
ახალი შესაძლებლობები	10.9 (7.1)	0 — 25
სხვებთან ურთიერთობა	17.2 (9.8)	0 — 35
პიროვნული სიძლიერე	12.3 (5.8)	0 — 20
სპირიტუალური ცვლილება/ცხოვრების დაფასება	14.0 (7.1)	0 — 25
პოსტტრავმული ზრდის ინდექსი	54.4 (24.7)	0 — 105

ძირითადი ანალიზი

ზოგადი დაკვირვებები და კონტექსტი: ომიდან ექვსი წლის შემდეგ

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი მონაცემები შეგროვდა 2014 წლის აგვისტოში; სწორედ იმ დღეებში, როდესაც 2008 წლის

საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ ზუსტად ექვსი წელი იყო გასული. ეს მომენტი არც თუ ისე იშვიათად გამოჩნდა კვლევის მონაწილეებთან საუბარში, როდესაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ ექვსი წლის თავზე ასე თუ ისე შეძლეს და აიწყეს ცხოვრება, თუმცა ეს არ არის და ვერასოდეს იქნება ის ცხოვრება, რომელიც თავიანთ „პატარა სამშობლოში“ ჰქონდათ.

საველე სამუშაოების დროს კვლევის მონაწილეებზე დაკვირვებამ და მათთან ურთიერთობამ ნათლად აჩვენა, რომ იძულებით ადგილმონაცვლეობის გამოცდილების მქონე ადამიანები უფრო შებოჭილები და ნაკლებად სელექციურები იყვნენ წარსულის გახსენებისას. მათ უმრავლესობას მეტ-ნაკლებად უჭირდა შორეული წარსულიდან, კერძოდ, ბავშვობიდან, დეტალების გახსენება. ასევე, სირთულეებს აწყდებოდნენ მოზრდილი ცხოვრებიდან კონკრეტული მოვლენის გახსენებისას, რომელსაც კარგად გამოხატული დასაწყისი და დასასრული ექნებოდა. შესაბამისად, ისინი ნაკლებად დეტალიზებულ და უფრო ზოგადი ხასიათის ამბებს ყვებოდნენ, ვიდრე ადგილმონაცვლეობის გამოცდილების არმქონე მონაწილეები.


ინტერვიუს კითხვების სტანდარტული შინაარსისა და თანმიმდევრობის და მიუხედავად, ინტერვიუსთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ორ ჯგუფში ($t(69)=-7.241, p=.000$), კერძოდ, იძულებით ადგილმონაცვალ პირებთან ჩაწერილი ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 48 ($SD = 21$ წთ) წუთს შეადგენდა, საკონტროლო ჯგუფთან კი — 1 საათსა და 31 წუთს ($SD = 34$ წთ). ამ ჯგუფის მონაწილეები მეტად რეფლექსიურები იყვნენ საკუთარი წარსული გამოცდილების მიმართ ანუ მეტად მსჯელობდნენ, ფიქრობდნენ მონათხრობზე და გამოცდილებაში საზრისის დანახვას ცდილობდნენ. ასევე, ცდილობდნენ წარსულის გამორჩეული მოვლენების საკუთარ აწმყო მე-სთან დაკავშირებას. ეს უკანასკნელი ნარატიული იდენტობის ლიტერატურაში ცნობილია, როგორც მოვლენასა და მე-ს შორის კავშირები (McLean & Fournier, 2008), როდესაც წარსული გამოცდილების ზოგიერთ ეპიზოდს ინდივიდის მიმდინარე იდენტობის რომელიმე ასპექტის მაფორმირებელი ფუნქცია აქვს და იგი ამას მკაფიოდ გამოთქვამს ნარატივის კონსტრუირებისას. ამასთან, ადგილმონაცვლეობის გამოცდილების არმქონე მონაწილეები უფრო გრძელ, მრავალქარგიან, მრავალშრიან და დროში შემოსაზღვრულ ამბებს ყვებოდნენ (Blagov & Singer, 2004).

რაც შეეხება 2008 წლის ომს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ფაქტობრივად, ყველა იძულებით ადგილმონაცვალ მონაწილის ცხოვრების ისტორიაში ($N=45$) იყო წარმოდგენილი აგვისტოს რამდენიმე დღის დეტალური აღწერა. ადამიანები, ძირითადად, საომარი მოქმედებების ზონიდან სამშვიდობოს გამოსვლის ამბავს ყვებოდნენ. აღსანიშნავია, რომ 45-ვე მონაწილე თითქმის ერთნაირად დეტალურად ყვებოდა საკუთარი გამოცდილების შესახებ: ზუსტად ახსოვდათ თარიღები, ადგილები, დასახელებები და ქცევები, რომელსაც თავად და მათ გარშემო მყოფნი ახორციელებდნენ, თუმცა, საკმაოდ უჭირდათ ემოციების და შედარებით ნაკლებად, აზრების გახსენება. აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ასეთი დეტალიზებული მონათხრობისა, ადამიანები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რამდენად ცენტრალურად (და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად)

თვლიდნენ ამ გამოცდილებას საკუთარ ცხოვრებაში და, აქედან გამომდინარე, იდენტობაში. უმრავლესობამ ომის ეპიზოდს თავის ცხოვრებაში ყველაზე ცუდი ან გარდამტეხი მომენტი უწოდა. ორმა მონაწილემ აღნიშნა, რომ 2008 წლის ომი მათი ცხოვრების ცენტრალური გამოწვევა იყო. კვლევის 45 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა (37 წლის ქალბატონმა) მონაწილემ განაცხადა უარი არამარტო ომის შესახებ საუბარზე, არამედ საკუთარი ცხოვრების იმ შედარებით ხანგრძლივი პერიოდის გახსენებაზეც კი, რომელიც საომარ მოქმედებებს უკავშირდებოდა: „უნდა ვიტყო და დიდი ხნით მოვიშალო და არ მინდა მთელი ის ტკივილი კიდევ ერთხელ განვიცადო“. თუმცა, პრაქტიკულად ყველა სხვა მონაწილე ინტერვიუს მსვლელობისას რამდენჯერმე დაუბრუნდა ომის თემას და განსაკუთრებით დეტალურად და მრავალჯერ გაიმეორა ამბავს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ცხოვრობდნენ „თავიანთ სამშობლოში“ და როგორ გამოყარეს იქიდან რუსებმა.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა: ჯგუფთაშორისი განსხვავებები

ჯამური მაჩვენებელი. იძულებით ადგილნაცვალ და სხვა პირებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სანდრო განსხვავება ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგების მიხედვით ($t(88)=-5.569, p=.000$ CI $-3.709; -1.758$) (იხ. სურ. N1).



სურათი N 1. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ჯამური ინდექსი იძულებით ადგილნაცვალ და სხვა მოქალაქეების ჯგუფებში.

ქვეკატეგორიები და შინაარსობრივი მხარე. ასევე, ეს ორი ჯგუფი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მდგენელების ანუ ქვეკატეგორიების (იგივე, მოტივაციური ასპექტების გაუმჯობესების)

კონფიგურაციის და, ასევე, ნარატივის შინაარსობრივი მხარის მიხედვით (ცხრილი N3), კერძოდ, იძულებით ადგილნაცვალ პირები ნაკლებად ყვებოდნენ ისეთ ამბებს თავიანთი ცხოვრებიდან, რომელშიც ასახული იქნებოდა აგენტობის, ურთიერთკავშირის ან/და მასშტაბური საფიქრალეების გაუმჯობესებისა და განვითარების ისტორია. ამასთან, მათ მონათხრობებში ნაკლებად იყო წარმოდგენილი მსხვერპლშეწირვის, ზრდის, სწავლისა და გათავისუფლების თემები და მეტად აღნიშნავდნენ გაუმჯობესების (შეგუების), გამოჯანმრთელების ფაქტებს.

ცხრილი N3. მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები და შინაარსობრივი მხარე იძულებით ადგილნაცვალ პირთა და სხვა მონაქალეთა ჯგუფებში.

ცვლადი	ჯგუფი		ხი-კვადრატი
	იძულებით ადგილნაცვალ პირები (N=270)	სხვა მოქალაქეები (N=270)	
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ქვეკატეგორიები			
მაკომპ. თანმიმდ. ხატი	63	116	23.474, $p=.000$, $df=1$
გაუმჯ. აგენტობა	15	47	18.658, $p=.000$, $df=1$
გაუმჯ. ურთიერთკავშირი	6	23	10.531, $p=.000$, $df=1$
მასშტაბური საფიქრალეები	1	20	17.886, $p=.000$, $df=1$
მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის შინაარსობრივი მხარე			
არც ერთი	222	183	44.126, $p=.000$, $df=6$
მსხვერპლშეწირვა	0	9	
გამოჯანმრთელება	6	4	
ზრდა	5	24	
სწავლა	3	23	
გაუმჯობესება (შეგუება)	32	22	
გათავისუფლება	2	5	

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება. ინდივიდის მიერ მოთხრობილი ნარატივის მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას, მოგონების ტიპსა (პიკური გამოცდილება, ყველაზე ცუდი მოგონება და ა. შ.) და იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილებას შორის ურთიერთმიმართების დასადგენად განხორციელებულმა დისპერსიულმა ანალიზმა (2 (ჯგუფი) \times 6 (მოგონების ტიპი)) აჩვენა, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მაჩვენებელს განასხვავებს როგორც მოგონების ტიპი ცალკე აღებული ($F(1)=8.110$, $p=.005$) და იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილების ქონა-უქონლობა ($F(1)=39.616$, $p=.000$), ისე მათი ურთიერთქმედება ($F(6)=84.594$, $p=.000$). შესაბამისად, ეს ორი ცვლადი სანდოდ წინასწარმეტყველებს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ნარატივების გამოჩენას ორივე ჯგუფში (ცხრილი N4).

ცხრილი 4. იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება და მოგონების ტიპი, როგორც ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის პრედიქტორები.

	B	SE B	β
ნაბიჯი 1			
კონსტანტა	-.133	.113	
ჯგუფი	.448	.072	.260*

ნაბიჯი 2

კონსტანტა	.074	.134	
ჯგუფი	.448	.071	.260*
მოგონების ტიპი	.059	.021	-.118*

შენიშვნა: Note: R²= .068 ნაბიჯი 1, ΔR²=.014 ნაბიჯი 2 (p<.001) *p<.001

ამრიგად, ჯგუფთაშორისი შედარების დონეზე, ორი ჯგუფი (თითოში 45 მონაწილე) მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურის მიხედვით, ისე — ამ ნარატივების შინაარსობრივი მხარის, ხატებისა და ისეთი ქვეკატეგორიების მიხედვით, როგორცაა აგენტობა, ურთიერთკავშირი და მასშტაბური საფიქრალეები. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილების არმქონე მოქალაქეები უფრო მეტ ამბავს ყვებიან მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურის შესატყვისად, რომლებიც, უპირატესად, ზრდის, სწავლისა და გაუმჯობესების შესახებ მოგვითხრობენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ იძულებით ადგილნაცვალი პირები მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის შესატყვისად აგებენ საკუთარ პერსონალურ ნარატივს, მათი მოგონებების ნახევარზე მეტი გაუმჯობესებისა და ადაპტაციის შესახებ იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტაციის, შეგუების გამოცდილების ამსახველი მონათხრობები მხოლოდ იძულებით ადგილნაცვალ პირთა ინტერვიუებში შეგვხვდა და სრულიად არ გამოჩენილა მეორე ჯგუფის მონაწილეებთან. იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილების არმქონეთ მონაწილეთა მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ნარატივებში, ასევე, გაცილებით მეტად შეინიშნებოდა მსჯელობა და რეფლექსია გაუმჯობესებული აგენტობის, ურთიერთკავშირისა და მასშტაბური საფიქრალეების შემდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, მხოლოდ საკონტროლო ჯგუფის წევრთა ისტორიებში აისახა.

როგორც უკვე აღინიშნა, მოგონების ტიპის მიხედვით იცვლება ნარატივში მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სიხშირე: უარყოფით გამოცდილების ამსახველ ნარატივში მეტად არის მოსალოდნელი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის სტრუქტურის აღმოჩენა, გარდამტეხ/გადამწყვეტი მოვლენების შესახებ ამბებში კი — კიდევ უფრო მეტად. თუმცა, თუ შემდგომ ანალიზში იმასაც გავითვალისწინებთ, აქვს თუ არა მთხრობელს იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება, აღმოჩნდება, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული მონათხრობების სიხშირე ამ გამოცდილების ქონა-უქონლობის მიხედვითაც იცვლება და არა — მხოლოდ მოგონების ტიპის მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ნარატივის აგება დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, არის თუ არა ინდივიდი იძულებით ადგილნაცვალი ანდა რომელი ტიპის მოგონებას ყვება ინდივიდი, არამედ ამ ორი ცვლადის (მოგონების ტიპი ჯგუფის მიხედვით) ურთიერთქმედებაზეც. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ინდივიდს აქვს იძულებით ადგილნაცვალობის გამოცდილება და ყვება ცხოვრებაში გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე მოგონებას, მეტია ალბათობა იმისა, რომ იგი ამ ამბავს მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დააგებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგივე პიროვნება პიკურ გამოცდილებაზე საუბრობს. გარდა ამისა, კიდევ უფრო მეტია მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე გარდამტეხი მოვლენის შესახებ ამბის მოსმენის ალბათობა, თუ მთხრობელს არ გააჩნია იძულებით გადაადგილების გამოცდილება

დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით გამოყოფილი ქვეჯგუფების შედარებამ აჩვენა, რომ პერსონალური ნარატივის წყობის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა განსხვავებულია სხვადასხვა საფეხურის განათლების მქონე ინდივიდებში ($F(6)=3.874$, $p=.002$), კერძოდ, ასეთი სტრუქტურის მქონე ნარატივები უფრო ხშირად არის წარმოდგენილი უმაღლესი (ბალაკავრის და მაგისტრის და მასთან გათანაბრებული) განათლების მქონე პირებთან.

პოსტტრავმული ზრდა: ჯგუფთაშორისი განსხვავებები

იძულებით ადგილნაცვალ და სხვა პირებს შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება არც პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლის და არც ცალკეული ქვესკალების მიხედვით. ეს შედეგი მიუთითებს, რომ საომარი მოქმედებების გამოცდილება და იძულებით ადგილნაცვალობა, როგორც კვლევაში მონაწილე ორი ჯგუფის განმასხვავებელი, არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს პოსტტრავმული ზრდისა და პიროვნული განვითარების სუბიექტურ განცდაში. ასევე, არ იყო სტატისტიკურად სანდო სხვაობა პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლებში გადატანილი სტრესული მოვლენის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის.

დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით გამოყოფილი ქვეჯგუფების შედარებამ რამდენიმე სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოავლინა, კერძოდ, (ა) პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იყო ($t(339)=2.198$, $p=.029$ [.795; 14.308]) ქალებთან ($M=55.1$, $SD=23.21$, დიაპაზონი 1 – 108), ვიდრე მამაკაცებთან ($M=47.6$, $SD=23.9$, დიაპაზონი 0 – 94). ამასთან, ქალებს ($M=15.1$, $SD=8.1$ და $M=12.4$, $SD=6.0$, შესაბამისად) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ სხვებთან ურთიერთობებისა ($t(339)=2.292$, $p=.023$ [.403; 5.282]) და სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების ($t(339) = 2.330$, $p = .020$ [.324; 3.841]) სკალებზე. (ბ) ახალი შესაძლებლობების სკალის მაჩვენებლები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული ოჯახური სტატუსის მქონე ინდივიდთა ჯგუფებში ($F = 6.564$, $p = .000$, $df = 3$), კერძოდ, დასაოჯახებლები მეტ შესაძლებლობას ხედავდნენ, ვიდრე დაოჯახებულები.

კვლევაში მიღებული სტატისტიკურად განსხვავებული მაჩვენებლები პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, სრულად თანხვდება სხვა კულტურებში წარმოებული კვლევების შედეგებს. კერძოდ, ქართულ შერჩევაში ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ქართულ კულტურაში ჩატარებულ, სულ მცირე, ერთ კვლევაში (ხეჩუაშვილი, 2015; Khechuaashvili, 2016) და, ასევე, დასავლურ კულტურებში ჩატარებულ მთელ რიგ კვლევებში (მაგალითისთვის იხ. Bellizzi, 2004; Sheikh & Marotta, 2005; Tedeschi & Calhoun, 1996) და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღნიშნული შედეგები შეესაბამება 70 კვლევის მეტაანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებს, რომელიც ვიშნევსკიმ, კანმა, კალჰუნმა, ტედესკიმ და დემაკისმა 2010 წელს განახორციელეს (Vishnevsky, Cann, Calhoun, Tedeschi, G., & Demakis, 2010). თუმცა იაპონიაში ჩატარებული კვლევები არ აჩვენებს გენდერულ განსხვავებას (მაგალითისთვის Taku, et. al., 2007). რაც შეეხება საქართველოში წარმოებულ კვლევებს, არც ფანჯიკიძის (2015) კვლევაში იქნა მიღებული სქესთან შორის მნიშვნელოვანი

განსხვავებები პოსტტრავმული ზრდის არც ჯამური მაჩვენებლისა და არც რომელიმე ქვესკალის მიხედვით. იაპონიის შემთხვევაში ავტორები ასეთ სურათს, უპირატესად, დასავლურ კულტურაში ქალების, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტად რელიგიურობით ხსნიან, რაც, შესაძლოა, ერთ-ერთი, მაგრამ არა — ერთადერთი ამხსნელი ფაქტორი იყოს. საინტერესოა, რომ ქართულ შერჩევაში სწორედ რომ სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების სკალაზე ჰქონდათ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებელი. მათ სხვებთან ურთიერთობების სკალაზეც უფრო მაღალი მაჩვენებელი დაუფიქსირდათ. ამიტომ, შესაძლებელია, პოსტტრავმული ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალებში უფრო მეტად რელიგიურობას კი არ უკავშირდებოდეს, არამედ — მათ მეტად რეფლექსიურობას, ან სულაც საკუთარ გრძნობებსა და განცდებზე მეტად კონცენტრირებულობასა და მათზე ხმამაღლა, ღად საუბრისთვის მზაობას და უნარს. ნარატიული კვლევებიდან (Thorne & McLean, 2003, McLean & Pasupathi, 2011; McLean & Syed, 2015) ცნობილია, რომ რაც უფრო მეტად საუბრობს ადამიანი მძიმე, ემოციურად დატვირთულ ან ტრავმულ გამოცდილებაზე, მით მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს მომხდარში აზრის, საზრისის დანახვის პროცესი და მით მეტია შედეგად მიღებული პოზიტიური შენაძენი და, აქედან გამომდინარე, ზრდის განცდაც. ასევე, ემპირიულად არის დასაბუთებული (McAdams, 2009), რომ ქალებს მეტად ახასიათებთ საკუთარ განცდებზე ფოკუსირება, საკუთარი გამოცდილების სპირალისებრი და მეტად ანალიტიკური თხრობა, რაც, ასევე, შეიძლება ხელს უწყობდეს პიროვნული ზრდის განცდას. ასეთი სურათი კარგად თანხმდება ქართულ კულტურაში ტრადიციულად დამკვიდრებულ ნორმას, რომ ქალებისგან მეტად მოელიან და მეტად ტოლერანტულადაც ეკიდებიან ემოციების გამოხატვას და გამოცდილებებზე საუბარს, ვიდრე მამაკაცებისგან.

საკუთარ განცდებზე საუბარი, ცხადია, სხვა ადამიანებთან ურთიერთობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ამ ურთიერთობების გადააზრების ბიძგსაც შეიძლება აძლევდეს მათ. ასეთ ჭრილში განხილვის კონტექსტში ლოგიკურად გამოიყურება ქალების შემთხვევაში უფრო მეტი ზრდის განცდა ადამიანებთან ურთიერთობებისა და სპირიტუალური ცვლილება-ცხოვრების დაფასების სკალებზე.

რაც შეეხება ახალი შესაძლებლობების ქვესკალაზე უფრო მაღალ მაჩვენებელს დასაოჯახებელ მონაწილეებთან, დაოჯახებულებთან შედარებით, აქ, სავარაუდოდ, შეიძლება ითქვას, რომ დასაოჯახებელი ადამიანები მეტ პერსპექტივას ხედავენ შესაძლო ცხოვრების გზის არჩევის თვალსაზრისით. ასევე, შესაძლებელია აქ ჩართული იყოს კიდევ ერთი, ასაკის ფაქტორი, თუმცა ასაკობრივ ჭრილში მონაცემთა ანალიზმა არანაირი შედეგი აჩვენა. ამიტომ ამ მიმართულებით დასკვნების გაკეთება და მეტად კონკრეტული ხასიათის მსჯელობა შემდგომ კვლევას საჭიროებს.

პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა და პოსტტრავმული ზრდა

პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და პოსტტრავმული ზრდის ჯამური მაჩვენებლის და მისი ქვესკალების ურთიერთმიმართების გამოსავლენად ჯერ კორელაციური ანალიზი განხორციელდა, რომელმაც აჩვენა, რომ პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსი სანდოდ და ზომიერად, დადებითად კორელირებს პოსტტრავმული ზრდის ორი ქვესკალის — ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული ზრდის —

მაჩვენებლებთან ჯგუფის ცვლადის გაკონტროლების პირობებში ($p < .01$). ამ მონაცემზე დაყრდნობით განხორციელდა რეგრესიული ანალიზი, რომელმაც აჩვენა, რომ მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით დალაგებული პერსონალური ნარატივი სანდოდ წინასწარმეტყველებს პოსტტრავმული ზრდის ამ ორი ფაქტორის მაჩვენებლებს (ცხრილი N6). ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ადამიანი მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით ყვება თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, შესაძლებელია იმის წინასწარმეტყველება, დაახლოებით რა მაჩვენებელი ექნება მას პოსტტრავმული ზრდის მიხედვით ორ — ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული სიძლიერის — ქვესკალაზე. სხვა სიტყვებით, რაც მეტია მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე ამბები მის პერსონალურ ნარატივში, მით მეტად იქნება მოსალოდნელი, რომ მან გადატანილი უარყოფითი გამოცდილებიდან რაღაც დადებითი გამოიტანოს, ახალი შესაძლებლობები დაინახოს და პიროვნულად გაძლიერდეს. ეს შედეგი თანხმობაში მოდის სხვა კვლევების შედეგებთან (მაგალითისთვის იხ. Calhoun & Tedeschi, 2013; Pals & McAdams, 2004).

ცხრილი N5. პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობისა და პოსტტრავმული ზრდის ჯამური და ქვესკალების მაჩვენებლებს შორის პარკორელაცია

	პოსტტრავმული ზრდა				
	სხვებთან მიმართება	ახალი შესაძლებლობები	პიროვნული სიძლიერე	სპირიტ. ცვლ/ ცხოვრების დაფასება	პოსტტრავმული ზრდის ჯამური მაჩვენებელი
პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსი	-0.008 (.938)	.260* (.015)	.234* (.029)	.084 (441)	.150 (.165)

შენიშვნა: უჯრებში მოცემულია პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი, $p < .01$;

ეს საკმაოდ ლოგიკური შედეგია, ვინაიდან თუ ინდივიდი ახერხებს ცუდი გამოცდილებიდან კარგი შედეგის გამოტანას, ცხოვრებაში ცუდსა და კარგ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ან ასოციაციური კავშირის დანახვას და ზოგადად, თავის ცხოვრებასა და საკუთარ თავს ცუდიდან კარგისკენ მოძრაობის პრიზმაში უყურებს (მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა), სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელია მისგან, რომ უკეთ შეძლოს ტრავმულ/სტრესულ გამოცდილებასთან კონსტრუქციულად გამკლავება, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად აისახება როგორც მის ნარატივში, ისე — თვითანგარიშის საზომში, რომლის კითხვებზე პასუხის გაცემა, გარკვეულწილად, ცნობიერ რეფლექსიასა და შემოთავაზებული პასუხებიდან ერთ-ერთის შერჩევას გულისხმობს.

ცხრილი 6. პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა, როგორც ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული ზრდის ქვესკალების მაჩვენებლების პრედიქტორი.

შედეგი	B	სტ. შეცდომა	ბეტა	t	p
ახალი შესაძლებლობები	8.725	1.151		7.583	.000
პიროვნული სიძლიერე	.684	.276	.260	2.482	.015
პიროვნული სიძლიერე	10.717	.956		11.209	.000
სიძლიერე	.508	.229	.234	2.215	.29

შენიშვნა: პრედიქტორი: მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა.

მიღებული შედეგის (ამ ორ ცვლადს შორის ზომიერი დადებითი კავშირი ჯგუფის ცვლადის გაკონტროლების პირობებში და ასევე, სანდოს სხვაობის არარსებობა სტრესული მოვლენის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის) ალტერნატიული ინტერპრეტაცია შეიძლება ის იყოს, რომ მაკომპენსირებელ თანმიმდევრობასა და პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლს შორის კავშირი არის არა თავად ტრავმული/სტრესული (ამ შემთხვევაში იძულებით ადგილნაცვალის) გამოცდილების ფუნქცია, არამედ იმისა, თუ როგორ ახდენენ ადამიანები ამ გამოცდილების გააზრებას, ინტერპრეტაციას, მასში საზრისის პოვნას და ვერბალიზებას პერსონალური ნარატივის სახით; ასევე, კოგნიტური გადაამუშავების ემოციური ტონის მიმართულება (უარყოფითიდან დადებითისკენ) და არა — თავად სტრესული მოვლენის რაგვარობა ედება საფუძვლად მძიმე გამოცდილების შემდეგ პიროვნულ ზრდას და განვითარებას.

ამ შედეგს მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენებაც შეიძლება ჰქონდეს კლინიკურ პრაქტიკასა და, ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალისთვის. ასე მაგალითად, ადლერის განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევა (Adler, 2012; Adler, et al. 2015) აჩვენებს, რომ თერაპიის პროცესში მოთხრობილი პერსონალური ნარატივის სტრუქტურისა და თანმიმდევრობის გაუმჯობესება, რაც ნეგატიურიდან დადებითისკენ მოძრაობაში და შინაარსობრივად და სტრუქტურად მეტად კოჰერენტული ნარატივის აგებს გულისხმობს, პიროვნული ზრდისა და გაუმჯობესებული ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფსიქოლოგიური თერაპიის უპირველესი მიზნის) ერთ-ერთ პირველ ინდიკატორს წარმოადგენს. ასე რომ, ამ ცოდნაზე დაყრდნობით, ფსიქოლოგი-კონსულტანტი უფრო რაციონალურად და ეკონომიურად შეძლებს ინტერვენციის სტრატეგიის დაგეგმვას იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ახდენს მისი კლიენტი ზოგადად თავისი წასრულის კონსტრუირებას და, შესაბამისად, როგორია თერაპიის შესაძლო გამოსავალი. ამგვარად, ნარატივის სტრუქტურის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მიმართულებით მოდიფიცირება ცხოვრებაში ახალი შესაძლებლობების შემჩნევისა და პიროვნული სიძლიერის განცდის მატების და, შესაბამისად, კონსულტირების პროცესის პროგრესის მანიშნებლად შეიძლება გამოდგეს.

ამ შედეგის კიდევ ერთი იმპლიკაცია, ამჯერად უკვე მეთოდოლოგიური ხასიათის, ის არის, რომ პოსტტრავმული ზრდის შერეული დიზაინით, ტრიანგულაციის მეთოდით გაზომვა კიდევ ერთხელ (სხვა ანალოგიური კვლევებისთვის, მაგალითად, იხ. Westrate & McLean, 2010; Syed, 2012) ადასტურებს პიროვნების ფსიქოლოგიაში ამა თუ იმ ფენომენის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ჩარჩოში კვლევის შესაძლებლობას, მართებულობასა და ვალიდურობას. ზომიერი დადებითი კორელაცია და ნარატივის სტრუქტურით კითხვარის შედეგების სანდოდ წინასწარმეტყველების შესაძლებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე ფენომენის სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა თეორიულ ჩარჩოში კვლევა და სანდო შედეგების მიღება, გამართული მეთოდოლოგიის, მართებულად აწყობილი კვლევის სქემისა და ამომწურავად და ცალსახად ოპერაციონალიზებული ცნებების პირობებში.

შედეგების შეჯამება

ამრიგად, ამ კვლევის შერჩევაში მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ნარატივთა მხოლოდ მესამედში აღინიშნება. ამასთან, ადამიანები მაკომპენსირებელი თანმიმდევრობით, ძირითადად, უარყოფით გამოცდილებას (ყველაზე ცუდი მოგონება, ბავშვობის უარყოფითი გამოცდილება და გარდამტეხი მოვლენა) ალაგებენ, შედარებით ნაკლებად არის ის წარმოდგენილი პიკურ გამოცდილებასა და მოზრდილობის მკაფიო მოგონებაში და ყველაზე ნაკლებად — ბავშვობის დადებით გამოცდილებაში; თუმცა, არ არის განსხვავება მოგონებებს შორის იმის მიხედვით, თუ რომელი სფეროა გაუმჯობესებული. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ზრდა, ძირითადად, სახეზეა ყველაზე ცუდ და გარდამტეხ მომენტებში, ხოლო გაუმჯობესება — პიკურ, ყველაზე ცუდ და გარდამტეხ მომენტებში.

დადასტურდა კვლევის პირველი ჰიპოთეზა, რომ ორი ჯგუფი განსხვავდება ერთმანეთისგან პერსონალური ნარატივის მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ინდექსის მიხედვით. კერძოდ, იძულებით გადაადგილების გამოცდილების არმქონე ადამიანები მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მქონე უფრო მეტ ამბავს ყვებიან, რომელიც, უპირატესად ზრდის, სწავლისა და გაუმჯობესების შესახებ არის. მათთან, ასევე, მეტად არის გამოკვეთილი მოტივაციური ასპექტების (აგენტობა, ურთიერთკავშირი და მასშტაბური საფიქრალეები) გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ მასშტაბური საფიქრალეების შესახებ საერთოდ არაფერს ყვებიან იძულებით ადგილნაცვალ პირები.

მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის მაჩვენებელს ორივე ჯგუფში სანდოდ წინასწარმეტყველებს შესაძლებელი მოგონების ტიპის და ის, აქვს თუ არა ინდივიდს იძულებით ადგილმონაცვლეობის გამოცდილება.

დადასტურდა მეორე და მესამე ჰიპოთეზებიც: პერსონალური ნარატივების მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა დადებითად ზომიერად კორელირებს პოსტტრავმული ზრდის ორ ფაქტორთან. ასევე, მაკომპენსირებელი თანმიმდევრობა ორივე ჯგუფში სანდოდ წინასწარმეტყველებს პოსტტრავმული ზრდის ორი სკალის — ახალი შესაძლებლობებისა და პიროვნული სიმდიერის — მაჩვენებლებს, რაც სრულად თანხვდება უკვე არსებული კვლევების შედეგებს (მაგალითად, Calhoun & Tedeschi, 2013).

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

წარმოდგენილ კვლევას, სულ მცირე, რამდენიმე შეზღუდვა აქვს. პირველ რიგში, კვლევაში სულ 90 ადამიანი მონაწილეობდა, რაც, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდი მოცულობის შერჩევაა თვისებრივი კვლევისთვის, მაგრამ არც თუ ისე დიდი — რაოდენობრივისთვის. ამიტომ ვერაფერს ვამტკიცებთ მიღებული შედეგების განზოგადების მიმართულებით. შესაბამისად, სამომავლოდ მართებული იქნებოდა უფრო დიდი მოცულობის შერჩევაზე ამ კვლევის გამეორება.

მეორე, სპეციფიკური შერჩევა — იძულებით ადგილნაცვალ პირები. მხოლოდ ერთ კონკრეტულ სპეციფიკურ შერჩევაზე ჩატარებულ ერთ კონკრეტული კვლევის შედეგებზე დაყრდობით შეუძლებელია (და დაუშვებელი) ზოგად კანონზომიერებებზე

საუბარი. ამიტომ საჭიროა კვლევის არაერთი რეპლიკაცია იგივე და სხვა ჯგუფებთან, რომლებსაც საერთო ტრავმული/სტრესული გამოცდილება აერთანებთ, ვთქვათ, ომის მონაწილე და მისიებში ნამყოფ სამხედროებთან, ომის ვეტერანებთან, იძულებით ადგილნაცვალობის სხვა პირებთან (აფხაზეთიდან ან რამდენჯერმე დევნილ ადამიანებთან), სხვადასხვა სამეციდინო დიაგნოზის მქონე ინდივიდებთან და ასეთი დიაგნოზის მქონე ადამიანების ოჯახის წევრებთან და ა. შ. ასევე, მეტი ინფორმაციის მოძიება იქნება სხვადასხვა ტიპის ტრავმული/სტრესული გამოცდილების მქონე ადამიანთა პერსონალური ნარატივების გაანალიზება მაკომპენსირებელი თანმიმდევრობის ჭრილში, რაც სამომავლო გეგმას წარმოადგენს შედარებით დიდი მოცულობის მონაცემების დაგროვების შემდეგ.

მესამე, მოცემული კვლევა კროსსექციურია ანუ დროის ერთ მომენტში ჩაიწერა პერსონალური ნარატივები, რაც ნამდვილად არასაკმარისია (Josselson, 2013) ინდივიდის ცხოვრების ისტორიის შესახებ შედარებით სრული წარმოდგენი შესაქმნელად, ვინაიდან ერთ ჯერზე მოყოლილი ამბავი პიროვნების ნარატიული იდენტობის მხოლოდ ერთ-ერთი და არა — ერთადერთი ვერსიაა (McLean & Syed, 2015). განმეორებითი ნარატივების კვლევა კიდევ ერთი მიმართულებაა მოცემული კვლევის განვითარებისთვის.

მადლობა

უღრმესი მადლობა ჩემს კვლევით ჯგუფს: ანა შავგულიძეს, გიორგი კვირიკაშვილს, გიო ნამჩევამეს, ციუკა ყიფშიძეს, ლელა ლეჟავას, მია მაზანიშვილსა და ნინო გუგუშვილს, რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე იყვნენ ჩართულნი და რომელთა გარეშე ვერ შესრულდებოდა ასეთი მასშტაბური სამუშაო, ზაფხულის ცხელ დღეებში სოფელ-სოფელ სიარულიდან დაწყებული, კოდირების სისტემის შემუშავებითა და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შესახებ მოსაზრებებით დამთავრებული. განსაკუთრებული მადლობა და ჩემი უდიდესი პატივისცემა ანა შავგულიძეს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მოწესრიგებისთვის, კოდირებისა და იდეალური მონაცემთა ბაზის შექმნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ხეჩუაშვილი, ლ. (2015). პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები // *GESJ: Education Sciences and Psychology* // 2015 | No.4(36) , pp. 59-74 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2616.pdf>).

ხეჩუაშვილი, ლ. (ბეჭდვაში). *პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში. II ნაწილი*.

ხეჩუაშვილი, ლ. (მზადების პროცესში). ცხოვრების ისტორიის კვლევა და ნარატივის ანალიზი.

Adler, J. (2012). Living into the story: agency and coherence in a longitudinal study of narrative identity development and mental health over the course of psychotherapy. *Journal of Personality and Social Psychology*, Vol. 102, No. 2, 367–389. DOI: 10.1037/a0025289

Adler, J., Lodi-Smith, J., Philippe, F. L., and Houle, I. (2015). The incremental validity of narrative identity in predicting well-being: A review of the field and recommendations for

the future. *Personality and Social Psychology Review*, Vol. 20(2) 142–175. DOI: 10.1177/1088868315585068

- Bakan, D. (1966). *The duality of human existence*. Boston: Beacon Press.
- Bellizi, K. M., & Blank, T. O. (2006). Predicting posttraumatic growth in breast cancer survivors. *Health Psychology*, 25,47-56.
- Blagov, P. S. & Singer, J. A. (2004). Four Dimensions of Self-Defining Memories (Specificity, Meaning, Content, and Affect) and Their Relationships to Self-Restraint, Distress, and Repressive Defensiveness. *Journal of Personality* 72:3, 481-512.
- Calhoun, L. G., & Tedeschi, R. G. (2013) *Posttraumatic growth in clinical practice*. New York: Brunner Routledge
- Cronbach, L. J. (1951). Coefficient α and the internal structure of tests. *Psychometrika*, 16, 297–334.
- Crossley, M. L. (2011). *Introducing Narrative Psychology: Self, Trauma and Construction of Meaning*. Buckingham, Philadelphia: Open University Press.
- Erikson, E. H. (1963). *Childhood and Society*. New York: Norton.
- Holmes, T. H. & Rahe, R. H. (1967). The Social Readjustment Rating Scale. *Journal of Psychosomatic Research*, Vol. 11, 213-218.
- Jayawickreme E., & Blaickie, L. E. R. (2014). Post-traumatic growth as positive change: Evident, controversiesand future directions. *European Journal of Persoanlity*, 28, 312-331.
- Josselson, R. (2013). *Interviewing for Qualitative Inquiry: A Relational Approach*. The Guilford Press.
- Khechuashvili, L. (2014a). Cross Cultural Adaptation of Posttraumatic Growth Inventory and Psychological Well-Being ScaInveles for Georgia Population. *GESJ:Education Sciences and Psychology* // 2014 | No.4(30), pp. 53-64 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2337.pdf>)
- Khechuashvili, L. (2014b). Comparative study of psychological well-being and posttraumatic growth indicators in IDP and non-IDP citizens of Georgia. *GESJ: Education Sciences and Psychology* // 2014 | No. 6(32), pp. 52-58 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2369.pdf>).
- Khechuashvili, L. (2015b). Tracing emerging master narrative of modern Georgians: Reconstruction through individual life stories. *GESJ: Education Sciences and Psychology*, 3(35), 90-106.
- Khechuashvili, L. (2016). Investigation of Psychometric Properties of the Georgian Version of Posttraumatic Growth Inventory, *Journal of Loss and Trauma*, DOI:10.1080/15325024.2016.1157409.
- King, L. A., Scollon, C. K., Ramsey, C., & Williams, T. (2000). Stories of life transition: Subjective well-being and ego-development in parents of children with Down Syndrome. *Journal of Research in Personality*, 34, 509-536.
- Koutrouli, N., Anagnostopoulos, F., and Potamianos, G. (2012). Posttraumatic stress disorder and posttraumatic growth in breast cancer patients: a systematic review. *Women Health*, 52(5):503-16. doi: 10.1080/03630242.2012.679337.

- Lamela, D., Figueiredo, B., Bastos, A., and Martins, H. (2013). Psychometric Properties of the Portuguese Version of the Posttraumatic Growth Inventory Short Form among Divorced Adults. *European Journal of Psychological Assessment*, Vol. 30(1):3–14.
- Lilgendahl, J. P. and McAdams, D. P. (2011). Constructing Stories of Self-Growth: How Individual Differences in Patterns of Autobiographical Reasoning Relate to Well-Being in Midlife. *Journal of Personality*, 79:2, DOI: 10.1111/j.1467-6494.2010.00688.x
- McAdams, D. P. (1988). *Power, Intimacy, and Life Stories: Personological Inquiries into Identity*. The Guilford Press. London, New York.
- McAdams, D. P. (1993). *The Stories we live by: Personal Myths and the Making of the Self*. New York: Morrow.
- McAdams, D. P. (1996). Personality, modernity, and the storied self: A contemporary framework for studying persons. *Psychological Inquiry*, 7, 295-321.
- McAdams, D. P. (2006). The Role of Narrative in Personality Psychology Today. *Narrative Inquiry*, 16:1, pp.11-18.
- McAdams, D. P. (2008). Personal Narratives and the Life Story. In O. P. John, R. W. Robins, & L. A. Pervin (Eds.) *Handbook of Personality: Theory and Research*, 3rd ed. pp. 242-262. New York, London: Guilford press.
- McAdams, D. P. (2009). *The Person: An Introduction to the Science of Personality Psychology*, 5th ed. USA: John Wiley & Sons, Inc.
- McAdams, D. P. (2013). *The redemptive self: Stories Americans live by*. Revised and expanded edition. Oxford University Press.
- McAdams, D. P., McLean, K. C. (2013). Narrative Identity. *Current Directions in Psychological Science*, 22(3), 233=238.
- McAdams, D. P. and Olson, B. D. (2010). Personality development: Continuity and change over the life course. *Annual Review of Psychology*, 61:517-42.
- McAdams, D. P. and Walden, K. (2010). Jack Block, the Big Five, and Personality from the Standpoints of Actor, Agent, and Author. *Psychological Inquiry*, 21: 50-56.
- McLean, K. C. (2008). Stories of the young and the old: Personal continuity and narrative identity. *Developmental Psychology*, 44, 254-264.
- McLean, K. C. & Fournier, M. A. (2008). The content and processes of autobiographical reasoning in narrative identity. *Journal of Research in Personality*, 42 (2008) 527–545.
- McLean, K. C. & Pasupathi, M. (2011). Old, New, Borrowed, Blue? The Emergence and Retention of Personal Meaning in Autobiographical Storytelling. *Journal of Personality*, 79:1, 135-163.
- McLean, K. C. & Syed, M. (Eds.) (2015). *The Oxford handbook of identity development*. Oxford University Press.
- McLean, K. C. & Syed, M. (in press). Personal, Master, and Alternative Narratives: An Integrative Framework for Understanding Identity Development in Context.
- McLean, K.C., Syed, M., Yoder, A. & Greenhoot, A. F. (2014). Role of Domain Content in Understanding Identity Development Processes. *Journal of Research on Adolescence*, 26(1), 60-75.

- Pals, J. L., (2000). *Self-narrative of difficult life experiences in adulthood*. Unpublished doctoral dissertation. University of California, Berkeley.
- Pals, J. L., & McAdams, D. P. (2004). The transformed Self: A narrative understanding of Posttraumatic growth. *Psychological Inquiry*, 65-69.
- Panjikidze, M. (2015). *Posttraumatic growth, family functioning, and emotional intelligence (the case of IDPs after war, 2008)* (Doctoral dissertation) (Written in Georgian Language). <http://press.tsu.ge> (9/17/2015).
- Pasupathi, M., & Mansour, E. (2006). Adult age differences in autobiographical reasoning in narratives. *Developmental Psychology*, 42, 798-808.
- Pasupathi, M., Mansour, E., and Brubaker, J. R. (2007). Developing a Life Story: Constructing Relations between Self and Experience in Autobiographical Narratives. *Human Development*, 50:85–110. DOI: 10.1159/000100939.
- Powell, S., Rosner, R., Butollo, W., Tedeschi, R. G., Calhoun, L. G. (2003). Posttraumatic Growth after war: a study with former refugees and displaced people in Sarajevo. *Journal of Clinical Psychology*, 59(1), 71-83.
- Shakespeare-Finch, J., Martinek, E., Tedeschi, R. G., & Calhoun, L. G. (2013) A Qualitative approach to Assessing the Validity of the Posttraumatic Growth Inventory, *Journal of Loss and Trauma: International Perspectives on Stress & Coping*, 18:6, 572-591.
- Sheikh, A. I., & Marotta, S. A. (2005). A cross-validation study of the Posttraumatic Growth Inventory. *Measurement and Evaluation in Counseling and Development*, 38, 66-77.
- Syed, M. (2010). Developing an Integrated Self: Academic and Ethnic Identities Among Ethnically Diverse College Students. *Developmental Psychology*, 46(6), 1590-1604.
- Syed, M. (2012). College Students' storytelling of ethnicity-related events in the academic domain. *Journal of Adolescent Research*, 27(2), 203-230. DOI: 10.1177/0743558411432633
- Syed, M. (in prep.) *Mixed Method Design in psychological research and its implications*.
- Taku, K., Calhoun, L. G., Tedeschi, R. G., Gil-Rivas, V., Kilmenr, R., P., & Cann, A.O. (2007). Examining posttraumatic growth among Japanese University Students. *Anxiety, Stress, & Coping*, 20(4), 353-367.
- Tedeschi, R. G., & Calhoun, L. G. (1995). *Trauma and Transformation: Growing in the aftermath of suffering*. Thousand Oaks, CA: Sage Publication.
- Tedeschi, R. G. and Calhoun L. G.0. (1996). The Posttraumatic Growth Inventory: Measuring the Positive Legacy of Trauma. *Journal of Traumatic Stress*, Vol. 9, No.3.
- Tedeschi R. G., and Calhoun, L. G. (2004). Posttraumatic Growth: Conceptual Foundations and Empirical Evidence in Psychological Inquiry. *An Interpersonal Journal for the Advancements of Psychological Theory*, Vol. 15, Issue 1, 1-18.
- Thorne, A., & McLean, K. C. (2003). Telling traumatic events in adolescence: A study of master narrative positioning. In R. Fivush & C. Haden (Eds.), *Connecting culture and memory: The development of an autobiographical self*, pp. 169-185. Mahwah, NJ: Erlbaum.
- Tomkins, S. S. (1981). The quest for primary motives: Biography and autobiography of an idea. *Journal of Personality and Social Psychology*, Vol. 41(2), pp. 306-329.

- Vishnevsky, T., Cann, A., Calhoun, L. G., Tedeschi, R. G., & Demakis, G. J. (2010). Gender differences in self-reported posttraumatic growth: A meta-analysis. *Psychology of Women Quarterly, 34*, 110–120. doi:10.1111/j.1471-6402.2009.01546.x.
- Westrate, N. M., and McLean, K. C. (2010). The rise and fall of gay: A cultural-historical approach to gay identity development. *Memory, 18*(2), 225-240.

Article received: 2016-05-12